ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

20
ივნისი,
პარასკევი,
2014 წ., №8

საგამოცდო პროცესისთვის მზადება



თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საგამოცდო პროცესისთვის მზადება აქტიურად მიმდინარეობს. თსუ-ის ადმინისტრაცია და საგამოცდო ცენტრი ყველა რესურსის მობილიზებას ცდილობს, რომ გამოცდებმა მაღალ დონეზე და წარმატებულად ჩაიაროს.

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი მაია ჩიღვინიძე გამოცდების ცენტრალიზებულ სისტემას დადებითად აფასებს და თვლის, რომ თსუ-ში დანერგილმა შეფასების ახალმა მეთოდმა ნამდვილად გაამართლა, რაც მიმდინარე გამოცდების შედეგებით კიდევ ერთხელ დადასტურდება.

„ამჟამად 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი და დამატებითი საგამოცდო პროცესისთვის მზადება მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ მთელი რიგი სიახლეები გვაქვს: საგამოცდო ცხრილი მთლიანად პროგრამულად კეთდება, რათა მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ სტუდენტთათვის გამოცდების დამთხვევის ალბათობა. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ სახით გაკეთებული საგამოცდო განრიგი უფრო მოსახერხებელი იქნება თსუ-ის თითოეული სტუდენტისთვის. საგამოცდო ცენტრმა იმაზეც იზრუნა, რომ საგამოცდო ატმოსფერო და გარემო სასიამოვნო და კომფორტული იყოს ყველა სტუდენტისათვის.

საგამოცდო ცენტრის მთელი შემადგენლობა აქტიურად მუშაობს, რომ საგამოცდო პროცესმა გამართულად და უხარვეზოდ ჩაიაროს“, — განაცხადა მაია ჩიღვინაძემ.

ქართველი ფიზიკოსების ახლად აღმოჩენილი მეთოდი მსოფლიოში ჯერ არავის გამოუყენებია გვ. 3

პროექტი „ანთიმოზ ივერიელი — ქართულ-ევროპული დიალოგი“ გვ. 4

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებანი ანუ „ფართოდ განათლებული მასწავლებლის“ ძიებაში გვ. 6-7

ნომერში

მედიცინის ფაკულტეტის დეკანად კვლავ ალექსანდრე ცისკარიძე აირჩიეს 2

ქართულ-აფხაზური სამეცნიერო ურთიერთობების უახლესი ქრონიკა 5

ახლად არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობს 8

ახალგაზრდა ისტორიკოსი უახლესი ისტორიის პირისპირ 9

გადაცემა ყველა უნივერსიტეტელისთვის

უყურეთ შაბათს, 21 და 28 ივნისს, 17 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას „უნივერსიტეტი“

მედიცინის ფაკულტეტის დეკანად კვლავ ალექსანდრე ცისკარიძე აირჩიეს

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მუშაობას ისევ ალექსანდრე ცისკარიძე აგრძელებს. არჩევნები 5 ივნისს გაიმართა და ალექსანდრე ცისკარიძის კანდიდატურას საფაკულტეტო საბჭოს 29 წევრმა დაუჭირა მხარი. დეკანმა უკვე წარმოადინა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სიახლეებსა და ცვლილებებს ითვალისწინებს. უფრო კონკრეტულად მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით გააქტიურებს: კურიკულუმის ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა, სიმულაციური ცენტრის შექმნა, საუნივერსიტეტო კლინიკის ამოქმედება, კლინიკური უნარ-ჩვევების და კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, პერსონალის განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო ურთიერთობების გაგრძელება-განვითარება.

ნატო ოგოლაძე

„მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საბაზო სამედიცინო განათლების კურიკულუმი უკვე მოიცავს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის ელემენტებს, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მიმდინარე სემესტრში ისეთი ახალი სასწავლო კურსის ამოქმედება, როგორიცაა „შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური სწავლა“, რაც წელს პირველად ამოქმედდა ფაკულტეტზე და სტუდენტების მხრიდან განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. მომავალი წლიდან, ვფიქრობთ, კლინიკური შემთხვევების ბაზის გაფართოებას, სახელმძღვანელოს მომზადებასა და გამოცემას.

სამედიცინო განათლების ხარისხის ამაღლება ინტეგრაციის ამაღლების გზით უშუალო კავშირშია შეფასების ახალი მეთოდების დანერგვასა და ამოქმედებასთან, ამდენად ჩვენი მიზანია, ფაკულტეტზე სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სამედიცინო განათლების ერთ-ერთ სტანდარტად აღიარებული შეფასების მეთოდის OSCE-ის ანუ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის სრულად ამოქმედება — მიმდინარე ეტაპზე ჩვენ ამ შეფასებას მხოლოდ ფრაგმენტულად ვიყენებდით. ეს თავის მხრივ დაკავშირებულია სიმულაციური ცენტრის შექმნასთან, რაც ჩვენი ფაკულტეტის განვითარების უახლოეს მიზანს წარმოადგენს და მისი პირველი ეტაპის დასრულებას 2014-2015 წლის შემოდგომის სემესტრში ვგეგმავთ.

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის პროცესში სტუდენტები ახდენენ კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირებას სიმულატორებზე და პაციენტის როლის შემსრულებელ მსახიობებზე. თსუ-სა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-

მორანდუმის ფარგლებში შესაძლებელია სამსახიობო სპეციალობის სტუდენტების გამოყენება პაციენტების როლის შემსრულებლებად, რაც ორმხრივ სასარგებლო იქნება, რადგან ეს პროცესი სტუდენტებისთვის სამსახიობო ოსტატობის მინიპრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო ფაკულტეტს შესაძლებლობა ექნება დაზოგოს არსებული ბიუჯეტი.

უახლოეს პერიოდში დავნერგავთ შეფასების კიდევ ერთ მეთოდს, პორტფოლიოს. ამ მეთოდის დანერგვა ხელს შეუწყობს მაღალი კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას, რადგან ამ მეთოდის გამოყენება სტუდენტების კლინიკურ აზროვნებაში, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში, დამოკიდებულებებში არსებული სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის და შეფასების, ნაკლოვანებების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა“, — განაცხადა მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა დიპლომის შემდგომი პროგრამების განხორციელებასაც ითვალისწინებს. ამ დროისთვის თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე მხოლოდ რამდენიმე პროგრამა მოქმედებს, სტრატეგიული გეგმის მიხედვით კი, უახლოეს პერიოდში, კლინიკური სპეციალობების პროგრამების სრული სპექტრი იქნება წარმოდგენილი.

მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია საუნივერსიტეტო კლინიკის ჩამოყალიბებაზეც გააგრძელებს მუშაობას. თსუ-ს უკვე გადმოეცა ყოფილი მე-7 საავადმყოფოს შენობა. მის ასამოქმედებლად საჭირო სარემონტო სამუშაოებისა და აპარატურისთვს ფინანსური სახსრები მოსაძიებელია, თუმცა დახმარებას საზღვარგარეთის პარტნიორი უნივერსიტეტები და კლინიკებიც გაუწევენ. მათ თსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკას უკვე უსასყიდლოდ გადმოსცეს სამედიცინო აპარატურის ნაწილი.

გზავნილი ადმინისტრაციას

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოწევთ?

ნუგზარ თოდუა,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი:

— სამწუხაროდ, უნივერსიტეტში სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება საკმაოდ დაბალ დონეზეა. პროფესორებს საკუთარი ინიციატივისა და ნაცნობობის ხარჯზე უწევთ იმ ობიექტების მოძებნა, სადაც სტუდენტი სასწავლო სტაჟირებას გაივლის.

გადასახედია ბაკალავრიატში სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დარეგისტრირების საკითხიც. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სტუდენტები ერთდროულად რამდენიმე საგანში არიან დარეგისტრირებული, რაც საკმაოდ უხერხულ სიტუაციას ქმნის. რეგისტრაციის ასეთი სისტემა უნდა შეიცვალოს.

აუცილებელია აკადემიური პერსონალისთვის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი გარემოს შექმნა. ჩვენი ფაკულტეტის რამდენიმე კათედრაზე ჩასატარებელია სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

საკმაოდ მწვავედ იგრძნობა მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების ნაკლებობა. საჭიროა, უნივერსიტეტმა ნათარგმნი ლიტერატურის გამოცემა დააფინანსოს. აქვე უნდა წავახალისოთ ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების შექმნაც.

გადასახედია პროფესორთა დატვირთვის გაანგარიშების არსებული სისტემაც. დღეისათვის მარტო ლექციებითა და საკონსულტაციო საათებით პროფესორთა დატვირთვის განსაზღვრა, ვფიქრობ, არასწორია. არსად არ ფიქსირდება კვლევითი პროექტის, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ცალკეული მეცნიერების განვითარებისთვის ხელშეწყობა და მათი პოპულარიზაცია. ამ საქმეში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი გზაა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე ბიზნესის ადმინისტრირების მეცნიერებებში შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭება. ვფიქრობ, უნდა აღდგეს მარკეტინგში, მენეჯმენტში, ფინანსებსა და ბუღალტერიაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხების მინიჭება. ეს ზედმეტ ფინანსურ დანახარჯებთან არაა დაკავშირებული და პრობლემის გადაწყვეტა ადვილად შეიძლება.

უნდა ვიზრუნოთ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ამოქმედებაზეც.

გადასახედია მოწვეული პედაგოგების ანაზღაურების სისტემაც. ცოტა უცნაურია, როცა ერთი და იგივე ლექციის ჩატარებისთვის პედაგოგები დიამეტრიულად განსხვავებულ ანაზღაურებას ღებულობენ. მოწვეული პერსონალის მოტივაცია რომ არ დაიკარგოს, საჭიროა შესაფერისი ანაზღაურებაც. საჭიროა მათი მეტად ჩართვა სასწავლო პროცესში (კათედრის საქმიანობაში).

და ბოლოს, მაღლივ კორპუსში სტუდენტების უმეტესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს კვების ობიექტის არარსებობის გამო. საჭიროა, ადმინისტრაციამ იზრუნოს ამ პრობლემის მოწესრიგებაზეც.

დალი ნიკოლაიშვილი,
თსუ-ის გეოგრაფის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი:

— ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დღეს ჩვენი უნივერსიტეტი დგას, შეიძლება დავაჯგუფოთ საერთო საუნივერსიტეტო და ვიწრო სპეციალიზირებულ პრობლემებად. როგორც გეოგრაფი, გამოვყოფდი მხოლოდ რამდენიმეს.

მომავალი გეოგრაფისთვის მეტად მნიშვნელოვანია თვალსაჩინოება. რათა ხედავდე და არა უბრალოდ უყურებდე ბუნებას, აუცილებელია მისი სწორად აღქმა. ამიტომ „გეოგრაფის თვალი” ჯერ სათანადოდ აღჭურვილ აუდიტორიაში, შემდეგ კი ველზე, უშუალო დაკვირვებებით უნდა იხვეწებოდეს. სამწუხაროდ, ის რეალობა, რის წინაშეც დღეს ჩვენ ვდგავართ, ამის შესაძლებლობას არ იძლევა. ამიტომ აუცილებელია სათანადო თვალსაჩინოების გამოყენება როგორც სალექციო, ისე პრაქტიკული მეცადინეობებისას.

მომავალი გეოგრაფის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო-საველე პრაქტიკა. სამწუხაროდ, ის ერთკვირიანი პრაქტიკა, რომელსაც VI სემესტრის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტები გადიან, არასაკმარისია.

აქვე მინდა ერთ, მეტად საჭირბოროტო საკითხსაც შევეხო. არ მეგულება დასავლეთის არც ერთი უნივერსიტეტი, სადაც უმაღლეს გეოგრაფიულ განათლებას სტუდენტები „გისკლასის“ გარეშე იღებდნენ. ეს არის კომპიუტერული პროგრამა, რომლითაც შესაძლებელია მძლავრ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით რუკების შედგენა და მათი სივრცითი ანალიზი. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი „გისკლასის“ არარსებობა აფერხებს სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, ამიტომ ეს პრობლემაც გადასაჭრელია.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში სტუდენტი გეოგრაფიულ განათლებას ერთდროულად საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი განხრით იღებდეს. მივესალმებით, რომ ამ კუთხით უნივერსიტეტში საჯარო დისკუსია და მსჯელობა უკვე დაიწყო.

იოსებ სალუქვაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— პირველი პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს — უნივერსიტეტში საქმის წარმოებაა. ჩემთვის გაუგებარია, ოფიციალური შეტყობინებების სისტემა რატომ არ შეიძლება განხორციელდეს ელექტრონულად. მესმის, რომ გარკვეულ დოკუმენტებს ხელი პირადად უნდა მოეწეროს, მაგრამ ასეთი ტიპის დოკუმენტები ხომ წარმოებაში გაცილებით ნაკლებია. როცა ადმინისტრაციისგან რაღაცას ითხოვ, პასუხიც ავტომატურ რეჟიმში უნდა გაგეცეს — ეს სისტემა მოსაწესრიგებელია. არსებობს ისეთი საკითხი, რომელიც შესაძლებელია ფაკულტეტის ადმინისტრაციამ მოაგვაროს. დეცენტრალიზაციის ხარისხი ჩვენთან ძალიან დაბალია. არ არის აუცილებელი ყველა წერილი რექტორმა და კანცლერმა იკითხოს. მე მათგან სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს მოველი და მხოლოდ იმ საკითხებზე უნდა მივმართო, რომელიც უნივერსიტეტისთვის არის მნიშვნელოვანი და არა ყოველდღიური რუტინისთვის.

მეორე საკითხი, რომელიც ჩემთვის ასევე მტკივნეულია, არის კორპუსის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხი. პირველ კორპუსში რომ შეხვალ, გული გაგინათდება, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვი, თუნდაც, IV ან III კორპუსებზე. მესმის, რომ ამ პრობლემის მოგვარება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ იქნებ ამიხსნათ, რატომ არ არის ტუალეტი IV კორპუსში?

მოსაწესრიგებელია ტექნიკური აღჭურვილობაც, არაღაფერს ვამბობ ინტერნეტის დაბალ სიჩქარეზე, და რომ დაბლოკილია ისეთი საიტები, რომელიც სწავლების დროს გვჭირდება. ეს ისეთი ორგანიზაციული საკითხებია, რომლებიც ადვილად მოგვარდება.

სამწუხაროდ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტს უფრო მეტი სტუდენტი ჰყავს, ვიდრე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შეუძლია მათი უზრუნველყოფა. 30 კაციან აუდიტორიაში 70 სტუდენტთან ვატარებ ლექციას. ეს მნიშვნელოვანი საკითხია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამუშაო კაბინეტში არსებული მდგომარეობის გამო უცხოელ პარტნიორებთან და კოლეგებთან ათასი ბოდიშის მოხდა მიწევს. არადა გაცვლითი პროგრამებისთვის მათ ჩვენი სამუშაო გარემო აინტერესებთ. მართალია, თსუ დღეს ყველაზე მოთხოვნადი უნივერსიტეტია, მაგრამ ამ ფაქტით აპელირება დიდხანს არ გაგრძელდება, თუ ეს პრობლემები არ გადაიჭრა. არ ვამბობ, რომ საკითხის მოგვარება IV კოპრუსიდან დავიწყოთ, მაგრამ არ შეიძლება — ყველა ინვესტიცია პირველ კორპუსში მიდიოდეს. ეს პრობლემები რეალურად არსებობს და ადმინისტრაციამ მის გადაწყვეტაზე უნდა იზრუნოს.

მოამზადა **თამარ დადიანმა**

| რევოლუციური აღმოჩენა |

ქართველი ფიზიკოსების ახლად აღმოჩენილი მეთოდი მსოფლიოში ჯერ არავის გამოუყენებია

ამ მეცნიერთა შორის, რომელთა სამეცნიერო მოხსენებებმაც ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვება მოიპოვეს, ერთერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი თემა „თანამედროვე ზეგამტარი და მაგნიტური ნივთიერებების სწრაფი სინთეზის ახალი მეთოდი“.

მოხსენება დამუშავდა კონდენსირებული გარემოს ფიზიკის ლაბორატორიაში და მას ოთხი ავტორი ჰყავდა: ალექსანდრე შენგელაია, დიმიტრი დარასელია, დავით ჯაფარიძე და ზურაბ ჯიბუტი. თემის სიახლე და აქტუალობა გახლდათ ის, რომ მეთოდი, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, მსოფლიოში არავის გამოუყენებია და ის შეეხება ზეგამტარი და მაგნიტური ნივთიერებების მიღებას დაახლოებით 100-დან 1000-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე მას დღეისათვის იღებენ.

კვლევა მთლიანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოებდა. აქვე ჩატარდა ექსპერიმენტები, რომლის შედეგადაც ქართველმა ფიზიკოსებმა მსოფლიოში პირველებმა მიაგნეს (და შემდგომ არაერთხელ დაადასტურეს) ახალ მეთოდს, რომელმაც შესაძლოა თანამედროვე ზეგამტარი და მაგნიტური ნივთიერებების წარმოებაში რევოლუცია მოახდინოს.

რაში მდგომარეობს აღმოჩენის რევოლუციურობა და რა გამოხმაურება მოჰყვა მას, ამ საკითხზე გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ალექსანდრე შენგელაია.

მაია ტორაძე

— ბატონო ალექსანდრე, ჩვეულებრივი მკითხველისათვის ალბათ გაუგებარია, რა არის ზეგამტარი და მაგნიტური ნივთიერებები და რატომაა მათი მიღების ახალი მეთოდის აღმოჩენა ასე მნიშვნელოვანი?

— ჩვენი თემის სათაური არის „თანამედროვე ზეგამტარი და მაგნიტური მასალების სწრაფი სინთეზის ახალი მეთოდი“. ეს გახლავთ ჩვენი ჯგუფის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შეჯამება. როცა ჯგუფს ვახსენებ, აქ ვგულისხმობ ჩვენი კათედრის — კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის თანამშრომლებს. ჯგუფში შედიან: დიმიტრი დარასელია, დავით ჯაფარიძე, ზურაბ ჯიბუტი და მე.

საქმე ეხება თანამედროვე მაგნიტური და ზეგამტარი მასალების მიღების ახალ ხერხს. მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი ახალი ტექნოლოგია, რომელსაც ვიყენებთ და რომლითაც ვსარგებლობთ, ემყარება ახალ ნივთიერებებს და მასალებს. არსებობს ამ მასალების დამზადების ტრადიციული მეთოდები, რომელიც გულისხმობს მაღალი ტემპერატურის გამოყენებას მაღალტემპერატურულ ღუმელებში, რაც ძალიან ხანგრძლივი პროცესია და კონკრეტული მასალის მიღებას ათეულობით საათი (10-დან 50 საათამდე) სჭირდება. ჩვენ მიზნად დავისახეთ, ეს მასალები გაცილებით უფრო სწრაფად მიგვეღო, რადგან, მოგეხსენებათ, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, რაც უფრო ნაკლებია მასალის მიღების თვითღირებულება, მით ნაკლებია მისი ფასიც და ეს ხელს უწყობს ამ მასალები ფართოდ დანერგვას.

ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მსოფლიოში ბევრი მეცნიერი მუშაობს, მაგრამ ჩვენი მეთოდი იმითაა ორიგინალური, რომ აქამდე მსოფლიოში ეს მეთოდი არავის გამოუყენებია. იმ შედეგების მიხედვით, რაც მივიღეთ, ჩვენ ვაცხადებთ, რომ აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება ზეგამტარი და მაგნიტური მასალების გამოწვას არა ჩვეულებრივ ღუმელებში, არამედ სპეციალური მძლავრი ნათურების დასხივების შედეგად. ეს ნათურები არის როგორც სითბური ენერგიის წყარო, ამავე დროს აქვთ ძლიერი სინათლის გამოსხივება და როგორც აღმოჩნდა, ამ მეთოდით მასალების მიღების პროცესი დრამატულად სწრაფი — ასჯერ და ათასჯერ სწრაფად ხდება.

— ვის გაუჩნდა პირველად იდეა, რომ ამ მეთოდით შეიძლებოდა უფრო სწრაფად მიგეღოთ თანამედროვე ზეგამტარი და მაგნიტური ნივთიერებები?

— ჩვენი ჯგუფის სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ მასში სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები არიან გაერთიანებული. უნივერსიტეტში ზეგამტარი და მაგნიტური მასალების ნიმუშებზე აქტიური მუშაობა უცხოეთიდან ჩემი ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო. ჩემი თანაავტორები კონკრეტულად ამ დარგებში მანამდე არ მუშაობდნენ, თუმცა თემატიკა სამეცნიერო წრეებში უკვე ტრიალებდა. როცა უკვე დავიწყეთ ერთად ზეგამტარ და მაგნიტურ ნივთიერებებზე მუშაობა, ბატონ დიმიტრი დარასელიას, დავით ჯაფარიძეს და ზურაბ ჯიბუტს გაუჩნდათ ეს იდეა. მოგეხსენებათ, ცარიელ ადგილზე არაფერი ხდება. ჩვენამდე მკვლევარები, მათ შორის, თსუ-შიც, მუშაობდნენ მძლავრი ნათურებით დასხივებაზე ნახევარგამტარების ფიზიკაში, მაგრამ მას სხვა ასპექტი ჰქონდა და სხვა მიზნებისთვის გამოიყენებოდა. გაჩნდა იდეა, რომ ერთმანეთისთვის დაგვეკავშირებინა, ერთი მხრივ, ზეგამტარობის და მაგნიტიზმის თემატიკა, და, მეორე მხრივ, ნათურებით დასხივების ტექნოლოგია, რომელიც მანამდეც არსებობდა, მაგრამ არ იყო გამოყენებული ზეგამტარი და მაგნიტური მასალების სინთეზისთვის.

— ელოდით ამ შედეგებს?

— არ ველოდი, რომ ასეთი საინტერესო შედეგი გვექნებოდა, რადგან, ჩემი სადიპლომო სამუშაოდან დაწყებული, 20 წელზე მეტია ვმუშაობ ამ დარგში და ზეგამტარ და მაგნიტურ მასალებს სწორედ იმ ძველი, კარგად დამუშავებული მეთოდებით ვიღებდი. ვერც წარმომედგინა, რომ ასე სწრაფად შეიძლებოდა მათი მიღება.

— უფრო გასაგები რომ იყოს, იქნებ დაწვრილებით აგვიხსნათ, მაგალითად, რა მასალაზეა საუბარი?

— არასპეციალისტისთვის ეს ძნელი ასახსნელია. მაღალტემპერატურული ზეგამტარი — ეს რთული ნივთიერებებია, რომელიც შედგება 4-5 ქიმიური კომპონენტისგან. მაგალითად, ერთ-ერთ ნივთიერებაში შედის იტრიუმი, ბარიუმი, სპილენძი და ჟანგბადი. ამ ოთხი კომპონენტის ნარევის შედეგად, შესაბამისი პროპორციით, უნდა მივიღოთ ახალი შენაერთი. რისთვისაა ეს საჭირო? ზეგამტარები, ესაა ნივთიერებები, რომელთაც არ გააჩნიათ ელექტრული წინაღობა. შესაბამისად, მათში ელექტრული დენის გატარების შედეგად არ არის დანაკარგი, რომელიც, ჩვეულებრივ, ყველანაირ სადენებში არსებობს. მაგალითად, სპილენძის სადენები ითვლება ყველაზე დაბალი წინაღობის მქონედ, მაგრამ მისი წინაღობა ნული არ არის და თუ ძალიან დიდ დენს გაატარებთ, ის გახურდება და დადნება. ნებისმიერ სადენს აქვს ზღვარი, თუ რა დოზის დენი შეუძლია გაატაროს.



თანამედროვე დიდ ქალაქებში სულ უფრო იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება. ამიტომ სადენებში დიდი სიმძლავრის ელექტროენერგია უნდა განაწილდეს. მსოფლიოში უკვე არსებობს პრობლემა — სპილენძის სადენები ვეღარ უძლებს ძლიერ დატვირთვას. ამ შემთხვევაში იდეალური გამოსავალი არის ზეგამტარი სადენების გამოყენება, რადგან მას არ აქვს წინაღობა და მათში შეგიძლიათ ნებისმიერი სიდიდის ელექტროენერგია გაატაროთ ისე, რომ სადენი ოდნავადაც არ გახურდეს და არც დანაკარგი გქონდეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში უკვე არსებობს კომპანიები, რომლებიც ზეგამტარ სადენებს ანარმოებენ და დღეისათვის მათი პრაქტიკაში გამოცდა მიმდინარეობს. ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლა მოითხოვს დროს და მთელი ინფრასტრუქტურის გადაწყობას. ამასთან, სიახლის დანერგვა უნდა იყოს ეკონომიკურად მომგებიანი. ანუ, თუ სადენის წარმოება არსებულ სადენებზე ძვირი დაჯდება, მას ვერ გამოიყენებენ. ამიტომაცაა ძალიან მნიშვნელოვანი ისეთი ტექნოლოგიის შემუშავება, რომელიც ამ სადენების წარმოებას იაფს გახდის.

— სად გამოქვეყნდა პირველი შედეგები და რა გამოხმაურება ჰქონდა მას?

— ჩვენ პირველი ექსპერიმენტი ჩავატარეთ 2011 წელს და როცა ასეთი საინტერესო შედეგები მივიღეთ, დაისვა საკითხი, სად უნდა გამოგვექვეყნებინა შედეგები. რადგან ეს იყო პირველი მონაცემები, ერთი მხრივ, გვინდოდა დაგვფიქსირებინა ჩვენი პრიორიტეტი და, მეორე მხრივ, არ გვინდოდა გამოგვეწვია ზედმეტი აჟიოტაჟი, რადგან ჯერ კიდევ გვჭირდებოდა დრო იმისათვის, რომ საქმე ბოლომდე მიგვეყვანა. ამიტომ პირველად შედეგები გამოვაქვეყნეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მოამბეში“. მაშინ აკადემიკოსი თენგიზ სანაძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (იგი გახლდათ ჩვენი კათედრის დამაარსებელი და დღეს ეს კათედრა მის სახელს ატარებს). სწორედ მას მივაწოდეთ სტატია და მისი რეკომენდაციით გამოქვეყნდა სამეცნიერო შრომის მოკლე ვარიანტი.

2011 წლის ბოლოს თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტში ჩამოსული იყო ნობელის პრემიის ლაურეატი ალექს მიულერი, რომელიც ამ მაღალტემპერატურული ზეგამტარის აღმომჩენია. როცა მას ვაჩვენეთ ჩვენი შედეგები (თავად ჯერ კიდევ არ გვჯეროდა ჩვენი მიგნების), ის აღფრთოვანდა და გვითხრა, რომ ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები და ამ კუთხით მუშაობა უნდა გაგვეგრძელებინა.

2013 წელს, ორი წლის შემდეგ, როცა მთლიანად დავამთავრეთ მუშაობა, დავრწმუნდით პროცესის გამართულობაში და შედეგებიც ბევრჯერ გავაკონტროლეთ (მოგეხსენებათ, მეცნიერებაში ერთჯერადი შედეგი არაფერს მიანიშნებს, იგი განმეორებადი უნდა იყოს), შევძელით გამოგვექვეყნებინა ეს სტატია საერთაშორისო ჟურნალში ამერიკაში. ჩვენი თანაავტორი გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი ალექს მიულერიც.

დღეისათვის 2 პუბლიკაციაა გამოქვეყნებული – ერთი უცხოეთში და ერთიც — საქართველოში. ასევე გაგზავნილია ორი პატენტი საავტორო უფლების მოპოვებაზე. მათგან ერთი გაგზავნილია საქართველოში, რომელიც უკვე დამტკიცდა, ხოლო მეორე — ევროპის საერთაშორისო საპატენტო ბიუროში. ჩვენი მოთხოვნა განხილვის პროცესშია და იმედი გვაქვს, რომ მასაც მივიღებთ.

რაც შეეხება გამოხმაურებას, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, ეს აღმოჩენა უნდა გავრცელდეს და განმტკიცდეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ გამოხმაურებებზე. თუმცა ამ თემაზე რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციაზე გვქონდა მოხსენება.

— ასეთი აღმოჩენები ყოველდღე არ ხდება, ამიტომ საინტერესოა როგორია თქვენი კოლეგების აზრი? რა შეფასებები მოგისმენიათ თქვენ მიერ ახალი მეთოდის მიგნების შესახებ?

— ჩვენი შედეგები წარდგენილია სამ საერთაშორისო კონფერენციაზე, ორი პირადად წარვადგინე იტალიის (ევროპული ზეგამტარობის კონფერენცია გენუაში) და თურქეთის (აზიის გამოყენებითი ზეგამტარობის კონფერენცია) საერთაშორისო კონფერენციებზე. უნდა აღვნიშნო, რომ ამ კონფერენციების მუშაობაში თითქმის ყველა ის მეცნიერი მონაწილეობდა, რომლებიც ამ მიმართულებით საქმიანობა. მათ აღიარეს ჩვენი შედეგების სიახლე და ის, რომ ჩვენ პირველმა აღმოვაჩინეთ ეს მეთოდი.

სხვათა შორის, ჩვენ დავნერგეთ ახალი ტერმინიც, ეს არის ფოტოსტიმულირებული მყარსხეულოვანი რეაქცია. ეს ტერმინი ჩვენ შემოვიტანეთ და ნელ-ნელა მკვიდრდება.

ძალიან მეამაყება, რომ მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე შედეგები თავად პროფესორმა ალექს მიულერმა წარადგინა ქალაქ ლინდაუში — ნობელის პრემიის ლაურეატების შეკრებაზე, რომელიც მიეძღვნა მასალათმცოდნეობისა და ქიმიის დარგს. იქ მომხსენებლები მხოლოდ ნობელის პრემიის ლაურეატები არიან. ალექს მიულერმა ჩვენი შედეგების წარდგენა ჩათვალა საჭიროდ და აღნიშნა, რომ ეს შედეგები მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დიახ, ეს ხაზგასმით უნდა აღვნიშნო — აღმოჩენა მთლიანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაკეთდა და არ დაგვხმარებია არც ერთი უცხოური ლაბორატორია. გასულ წლებში ჩვენ შევძელით და ჩვენს ლაბორატორიაში მოვუყარეთ თავი საბაზისო დანადგარებს. ამიტომ, იდეიდან დაწყებული, ექსპერიმენტით დამთავრებული, ყველაფერი უნივერსიტეტის კედლებშია გაკეთებული.

პროექტი „ანთიმოზ ივერიელი — ქართულ-ევროპული დიალოგი“

შურთხია ბერეშვილი

ნარმოშობით ქართველი, რუმინეთის საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, რუმინეთ-ვლახეთის მიტროპოლიტი, ანტიოსმალური პატრიოტულ-განმანათლებლური მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი ანთიმოზ ივერიელი რუმინელმა ხალხმა წმინდანად შერაცხა. მან მთელი თავისი მოღვაწეობა რუმინეთის სასულიერო და საერო მწერლობის განვითარებას მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობა ქართულ სამეცნიერო სივრცეში პრაქტიკულად არ არის შესწავლილი, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსში ფუნდამენტური კვლევებისთვის გამარჯვებული ერთ-ერთი პროექტი სწორედ მისი მოღვაწეობის კვლევას ეხება.

პროექტის — „ანთიმოზ ივერიელი – ქართულ-ევროპული დიალოგი“ სამეცნიერო ხელმძღვანელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, კონსტანცის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, თსუ-ის პროფესორის ანასტასია ზაქარიაძის ინფორმაციით, ამ დიდი წმინდანისა და მოღვაწის ნაშრომები, ფაქტობრივად, ხელმიუწვდომელია, არ არის ნათარგმნი ქართულ ენაზე და უცნობია როგორც ქართული სამეცნიერო წრეებისთვის, ასევე, ფართო საზოგადოებისთვის.

„ანთიმოზ ივერიელის საგანმანათლებლო, ლიტერატურული თუ მეცნიერული მოღვაწეობა, მისი ხელოვნება ფასდაუდებელია. ასევე საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის დიდი ღვაწლი, რომელიც მან გასწია ვლახეთისა და რუმინეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის იდეის დაფუძნებისა და მისთვის ბრძოლის საქმისთვის. ანთიმოზ ივერიელის სახელს და მის თხზულებებს უკავშირდება რუმინული საღვთისმეტყველო-საეკლესიო და ლიტერატურული ენის შექმნა. ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური, საგანმანათლებლო, საერო და საეკლესიო მოღვაწეობის შესწავლა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ კვლევა ახლებურად წარმოაჩენს ქართული თეოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების გზებს. ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობა წარმოადგენს კულტურათა წარმატებული დიალოგის მაგალითს“, — აღნიშნა პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა.

ანასტასია ზაქარიაძის თქმით, პროექტი მიზნად ისახავს ახალი დროის ფილოსოფიურ-რელიგიური პარადიგმის კვლევას და ეპოქის ზნეობრივი დილემების დაძლევის გზების ძიებას ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიურ-რელიგიურ მემკვიდრეობაში.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის სისტემური შესწავლა, მისი საქმიანობის ყველა ასპექტის ერთ მთლიან პარადიგმულ მოდელში წარმოდგენა და მისი რეპრეზენტაცია თანამედროვე კულტურულ, აკადემიურ და საზოგადოებრივ სივრცეში.

პროექტის ხელმძღვანელის განმარტებით, ფუნდამენტური კვლევების თვალსაზრისით, კვლევა მიზნად ისახავს ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობის კომპლექსურ შესწავლას.

„ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის და მდიდარი მემკვიდრეობის ინტერდისციპლინარული კვლევის სტრატეგია გულისხმობს თეოლოგიის სხვადასხვა დარგში შექმნილი მემკვიდრეობის თავმოყრას, თარგმნას ქართულ ენაზე, შესაბამისი სამეცნიერო აპარატურით უზრუნველყოფას და კომენტირებას. ეთიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, ფილოსოფიის, არქიტექტურის და სახვითი ხელოვნების სფეროში ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობის კვლევა გულისხმობს შესაბამისი მასალის მოძიებას, შეწავლას და არტიკულაციას, შედარებას ქართულ და ევროპულ მემკვიდრეობასთან. ამასთან, კვლევის შედეგად აპრობირდება სასწავლო კურსები, რომლებიც წარმატებით შეიძლება დაინერგოს სასწავლო პრაქტიკაში.

ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის შესწავლა და პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები მნიშვნელოვან პერსპექტივებს ხსნის სოციალურ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო კომუნიკაციური ქმედების გაფართოების თვალსაზრით. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები და პუბლიკაციები დაეხმარება საქართველოსა და რუმინეთს, აგრეთვე ევროკავშირში გაერთიანებულ ან მის ორბიტაზე მყოფი სხვა ქვეყნების მოქალაქეებსა და ინსტიტუციებს — გააცნობიერონ თავიანთი კომუნიკაციური უფლებები და მოვალეობები ევროკავშირის მიმართ“, — აღნიშნავს ანასტასია ზაქარიაძე.

პროექტის ფარგლებში კვლევაში ჩართულები არიან თსუ-ის ფილოსოფიის ინსტიტუტის პროფესორები, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორები: ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი, დემურ ჯალაღონია, თსუ-ის მოწვეული პროფესორი, ღვთისმეტყველების დოქტორი, დეკანოზი ალექსი (ქშუტაშვილი), სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, თეოლოგიის მაგისტრი, თსუ-ის ფილოსოფიის დოქტორანტი, დეკანოზი გიორგი წეროძე და ფილოლოგიის დოქტორი ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი.

წიგნის თარო

ნართეგის ეპოსი ორ ენაზე

„ამ წიგნებს, გარდა სამეცნიერო და ლიტერატურული ღირებულებებისა, სამშვიდობო დანიშნულებაც აქვთ, რამდენადაც ქართველი და ოსი მოღვაწეების საერთო ძალისხმევით ოსი და ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშალა,” — ითქვა 5 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე, სადაც ნართების ეპოსის ორენოვანი გამოცემისა და ოსურ-ქართული და ქართულ-ოსური ლექსიკონების მეორე გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა.

ნართების ეპოსი ოსური ზეპირსიტყვიერების შედევრია, სადაც წარმოდგენილია მარადიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ტრადიციები. ეს არის სამყარო, რომელშიც გაერთიანებულია უმაღლესი ეთიკური და მორალური წესების დამცველი გმირები.

„ეს წიგნები უკვდავყოფაა ნართებისა, ამავე დროს, მათ გამოცემას თავისი მიზანი აქვს: წიგნები ორენოვანია და ქართველი და ოსი მკითხველი პირველად მიიღებს უდიდეს საგანძურს — ნართების ეპოსს ორ ენაზე, რაც უნიკალურ მოვლენად ითვლება, რადგან დღემდე მსგავსი გამოცემა არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ წიგნების გამოცემა-მომზადებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველმა და ოსმა კოლეგებმა, მეცნიერებმა, სწავლულებმა. ეს კიდევ ერთი მაგალითია ორი ერის კულტურული მონაპოვრის, პატივისცემისა და სიყვარულის და ამ ურთულეს პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული ორი ერის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მადლობა მინდა გადავუხადო ევროსაბჭოს, გაეროს განვითარების ფონდსა და პროგრამა „კობერმს“, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება“, — აღნიშნა წიგნების მთავარმა რედაქტორმა და მთარგმნელმა ნაირა ბეპიევამ.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები სრულიად ახალი მოვლენაა ამ ორი ერის კულტურულ — საგანმანათლებლო ისტორიაში. ლექსიკონები მთლიანობაში მოიცავს 50 000-ზე მეტ სიტყვას. მათ ერთვის ოსური ენის გრამატიკული ნარკვევი და ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა. წიგნს დართული აქვს გამოყენების წესები ოსურ და ქართულ ენებზე, ოსური და ქართული ანბანი ტრანსკრიპციით, ასევე, განმარტებები და სხვა. ლექსიკონი პირველად 2012 წელს გამოიცა, თუმცა, მისადმი დიდი ინტერესის გამო, საჭირო გახდა მეორედ გამოცემა.

„ლექსიკონი გამოცემიდან ცოტა ხანში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ამ ორი ერის ურთიერთობაში და აღმოჩნდა, რომ მეცნიერება და კულტურა ის „ენაა“, რომელიც ორივე ხალხისთვის გასაგები და მისაღებია“, — აღნიშნა ნაირა ბეპიევამ.

წიგნების გამოცემაზე ერთობლივად მუშაობდნენ მეცნიერები, ლექსიკოლოგები, მთარგმნელები, მხატვრები. ნართები ქართულ ენაზე თარგმნა ნაირა ბეპიევამ, წიგნის მთავარი რედაქტორია ნინო პოპიაშვილი, საგამომცემლო ჯგუფის წევრები არიან: აკადემიკოსი ნაფი ჯუსოითი (ცხინვალი), ზურაბ კიკნაძე, მერი ცხოვრებოვა და რაზიათ ქუმარიტოვი (ცხინვალი). ლექსიკონის მთავარი რედაქტორია პროფესორი ნაირა ბეპიევა, რედაქტორები — აკადემიკოსი ნაფი ჯუსოითი, პროფესორი ტამერლან გურიევი (ვლადიკავკაზი), აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ არაბული და პროფესორი ნინო პოპიაშვილი. ნართების ეპოსი მხატვრულად გააფორმეს ქართველმა და ოსმა მხატვრებმა: მახარბეგ თუღანოვმა, სალვა ბედოევმა, დავით პოპიაშვილმა, ლევან სილაგაძემ.

პრეზენტაციაზე წიგნების გამოცემის მნიშვნელობაზე ისაუბრა თსუ-ის ვიცერექტორმა მარინე ჩიტაშვილმა: „ჩვენ ვცხოვრობთ იმ გარემოში, რომლის კონსტრუირებასაც ვახდენთ, ეს გარემო კი მანამდე მუშაობს, სანამ შეგიქმნის კონფლიქტს. ალბათ დროა, გადავხედოთ ჩვენ მიერ კონსტრუირებულ გარემოს და მოვერგოთ იმ რეალობას, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. განსაკუთრებით ამ პირობებში, როდესაც დიდი იმედით მოველით, რომ 27 ივნისს საერთო ევროპული სახლის წევრები გავხდებით. მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ნაირას და მთელ შემოქმედებით ჯგუფს, რომლებსაც ამ დიდ საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ“, — აღნიშნა მარინა ჩიტაშვილმა.

წიგნების პრეზენტაციის საზეიმო განწყობაზე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის სახელმწიფო ანსამბლმა „ნართებმა“ იზრუნა, მათ მიერ წარმოდგენილმა მუსიკალურმა ნომრებმა დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

მოამზადა **შურთხია ბერეშვილმა**

ამერიკისმცოდნეობის XV საერთაშორისო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის გახსნას უმასპინძლა.

ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, ელჩის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი, თსუ-ის პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

წელს XV კონფერენცია გაიმართა და მისი თემა გახლდათ: „შეერთებული შატატების პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში“.

კონფერენცია პრეზიდენტ აბრაჰამ ლინკოლნის გეტისბურგში სიტყვით გამოსვლის 150-ე წლისთავს მიეძღვნა — „სახალხო მთავრობა შექმნილი ხალხის მიერ და ხალხისათვის'' და მისი მიზანი იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და რელიგიის საკითხების პროფესიულ დონეზე შესწავლის შედეგების წარმოჩენა, განხილვა და მიღებული ინფორმაციის პოპულარიზაცია საქართველოს საზოგადოების ფართო ფენებში, ასევე ქართველ ამერიკისმცოდნეთა მუშაობის კოორდინირება და მათი კონტაქტების გაღრმავება ამერიკელ კოლეგებთან.

თამარ დადიანი

თსუ-ს რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მონაწილეებსა და სტუმრებს კონფერენციის გახსნა მიულოცა და აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრა: „უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულად იქცა კვლევები, რომლებიც ემსახურება აშშ-ს კულტურის, ტრადიციების და ისტორიის შესწავლას. ქართველი პროფესორები და სტუდენტები დიდ ინტერესს გამოხატავენ აღნიშნული კვლევებისადმი, ამიტომაც კონფერენციას ტრადიციული სახე მიეცა და იგი უკვე მეთხუთმეტედ იმართება აშშ-ის საელჩოს დიდი მხარდაჭერით.

ქართული საზოგადოებისათვის, რომელიც ღრმად აფასებს აშშ-თან მეგობრობას, უმნიშვნელოვანესია ამერიკის მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი კვლევითი, სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით. აშშ წარმოადგენს დემოკრატიის ქვაკუთხედს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუდმივად ცდილობს დემოკრატიის უფრო სრულყოფილი ფორმების ჩამოყალიბებას. საქართველო კი, რომელიც დემოკრატიის ჩამოყალიბების მიმართულებით დაწყებით ეტაპზეა, ცდილობს გაატაროს ამერიკული ღირებულებები და გახდეს მისი სტრატეგიული პარტნიორი მთელს მსოფლიოში, ამიტომაც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია აშშ გამოცდილების და ძირეული ფასეულობების ცოდნა“, — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, ბატონი რიჩარდ ნორლანდი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს, მან მადლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და კონფერენციის ორგანიზატორებს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორს ვასილ კაჭარავას, ამავე ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის მიმართულების ასოცირებულ პროფესორს ელენე მეძმარიაშვილს. „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის და კონგრესის წარმომადგენლები არიან საქართველოს საიმედო მეგობრები და აშშ ღრმად აფასებს ქართული საზოგადოების დიდ ინტერესს ამერიკისადმი. აშშ-ისთვის მისასალმებელია ქართული სამეცნიერო საზოგადოების აქტიური ჩართულობა ამერიკის შესწავლის საკითხებში, რომლებიც ცდილობენ დაადგინონ აკადემიური ჭეშმარიტება ამერიკის შესახებ. აშშ ამჟამად გადის გარდამავალ პერიოდს და მიმდინარე ცვლილებების ფონზე, მრავალი საკითხი დგას განხილვის პროცესში, კერძოდ, როგორიცაა: პოლიტიკური და ეკონომიკური პოლარიზაცია, უთანასწორობა, ამერიკის მონაწილეობა მსოფლიო პოლიტიკურ საკითხებში და სხვა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხედავენ საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატებს. მით უფრო, რომ აშშ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს განევრიანების მხარდამჭერია“, — აღნიშნა აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა სიტყვით გამოსვლისას.

აშშ-ის ელჩი დაეთანხმა უნივერსიტეტის რექტორის, ვლადიმერ პაპავას განცხადებას და აღნიშნა, რომ რელიგიური და აზრის გამოხატვის თავისუფლება ამერიკისთვის უმნიშვნელოვანესია და რომ იგი აქტიურად გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას საერთო ღირებულებების განვითარების საკითხში.

ამერიკის ელჩმა საქართველოს 27 ივნისს დაგეგმილ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მიულოცა და განაცხადა, რომ ამ პროცესში ამერიკა იქნება საქართველოს საიმედო პარტნიორი და აქტიური მხარდამჭერი.

რიჩარდ ნორლანდმა კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა აშშ-ის ელჩის მოადგილე საქართველოში ბრიჯიტ ბრინკი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა საქართველოს მიმართ“. მან ასევე ისაუბრა ამერიკისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის სფეროებსა და აშშ-ს პრიორიტეტებსა და ფასეულობებზე საქართველოსთან მიმართებაში.

აშშ-ის ელჩის მოადგილემ ბრიჯიტ ბრინკმა მცირე დრო ყირიმში და უკრაინაში რუსეთის არაკანონიერ ქმედებებსა და მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის განხილვას დაუთმო. შემდეგ საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზეც ისაუბრა და განაცხადა: „აშშ მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას, სასამართლო რეფორმებს, თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს, მედიის, რელიგიის და სიტყვის თავისუფლებას, ადამიანის უფლებებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრესს სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მხარდაჭერით. საქართველო ხელსაყრელი ქვეყანაა გეოგრაფიული თვალსაზრისით და ხშირად მას „ახალ აბრეშუმის გზასაც „უწოდებენ.“

ქალბატონმა ბრინკმა საგარეო უსაფრთხოების თემებზე საუბრისას მადლობა გადაუხადა საქართველოს, რომელიც ნატოს ასპირანტი და პარტნიორი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობს ავღანეთის მისიაში, რაც ხელს უწყობს ნატო-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებას და სამომავლო თანამშრომლობას. „აშშ კვლავაც დაუჭერს მხარს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას და სექტემბერში დაგეგმილ უელსის სამიტზე მის მყარ პოზიციას დააფიქსირებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში განევრიანებასთან დაკავშირებით“. — განაცხადა ბრიჯიტ ბრინკმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამერიკა საქართველოსთან აქტიურად თანამშრომლობს იარაღის და ბირთვული მასალების გაუვრცელებლობის, ანტიტერორისტულ, ტრეფიკინგის და ანტინარკოტიკულ საკითხებში. აშშ-ის პოზიცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არასოდეს შეცვლილა და მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა აშშ-ის მყარი პოზიცია და ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების მიმართ. „აშშ ღრმა შეშფოთებას გამოხატავს ოკუპირებული ტერიტორიების მზარდი ბორდერიზაციის გამო და მალე დაიწყებს დამატებით ჰუმანიტარულ დახმარებას რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის. ამერიკა მხარს დაუჭერს და არ დაიშურებს რესურსებს საქართველოს ინტერესებს დასაცავად ევრო-ატლანტიკურ სივრცეებში“, — განაცხადა ბრიჯიტ ბრინკმა.

კონფერენციის ორგანიზატორი ვასილ კაჭარავა კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა და მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ ამერიკის შესწავლის საკითხების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან განაცხადა, რომ საქართველოსთვის ამერიკა წარმოადგენს მოკავშირეს და სტრატეგიულ პარტნიორს, რომელიც საქართველოს თავისუფლების, განვითარების და წინსვლის გარანტია. ვასილ კაჭარავამ დიდი მადლობა გადაუხადა ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებს აქტიური მხარდაჭერისათვის.

ამერიკისმცოდნეობის XV საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა და ქართველმა გამომსვლელებმა.

ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენცია 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება. კონფერენცია თემების მიხედვით დაყოფილი იყო სექციებად და მომხსენებელთა რაოდენობა 160-ს აჭარბებდა.

კონფერენციის ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს თსუ-ის რექტორს, ადმინისტრაციას თანადგომისა და ფინანსური დახმარებისათვის.

ქართულ-აფხაზური სამეცნიერო ურთიერთობების უახლესი ქრონიკა

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევის ცენტრში აფხაზური ზეპირმეტყველების დაწყებითი სასწავლო კურსი წარმატებით მიმდინარეობს. იგი მიმდინარე წლის იანვრიდან პილოტურ რეჟიმში ამოქმედდა და ამ დროისთვის ცხრა მსმენელს ითვლის, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებსაც. შესაბამისად, კურსებზე დასწრება აფხაზური ენის შესწავლის ნებისმიერ მსურველს შეუძლია. აფხაზური ზეპირმეტყველების შესწავლის წარმატების საფუძველი სპეციალურად შემუშავებული სასწავლო პროგრამაა, რომელიც ცენტრის თანამშრომლებმა ესმა კოკოსკერიამ და ლეილა ავიძბამ პირადი ათწლიანი და უცხო ენების სწავლების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით აფხაზურ მხარესთან კონსულტაციების შედეგად შეადგინეს. ახალი პროგრამის შექმნა აუცილებელი გახდა აფხაზური ენის სირთულიდან გამომდინარე.

„ათწლიანმა პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ აფხაზური ენის სწავლის პროცესი ძალიან რთულია. თუ ბავშვობიდან არ გესმის აფხაზური, შემდეგ მისი ათვისება ძნელია. შეიძლება ისწავლო თეორია, მაგრამ საუბრის დაწყება უკვე პრობლემაა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ შეგვექმნა სისტემა, რომელიც ამ პროცესს გააადვილებდა. ველოსიპედი არ გამოგვიგონია, სხვა უცხო ენების სწავლების სტრუქტურა შევუთავსეთ აფხაზურს და შევადგინეთ აფაზური ზეპირმეტყველების კურსი, რომელსაც თან ერთვის აუდიო მასალაც. სულ 36 გაკვეთილია და სტუდენტებს კვირაში ორი ლექცია უტარდებათ. ჩვენი მთავარი მიზანია — კურსის დასრულების შემდეგ მათ აფხაზურად საუბარი შეძლონ თუნდაც დაწყებით დონეზე. უახლოეს მომავალში ვგეგმავთ, რომ კურსს მხატვრული ლიტერატურაც დავუმატოთ. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს კომპიუტერზე აფხაზურ ენაზე ბეჭდვის უნარების გამომუშავებასაც. ვფიქრობ, ეს წამოწყება ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ურთიერთობისთვის. აფხაზ ახალგაზრდებთან დაკონტაქტება ცოტა რთულია, თუმცა მათ მშობლიურ ენაზე თუ გაესაუბრები — ინტერესდებიან და დადებითი განწყობა ექმნებათ“, — გვესაუბრა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სამეცნიერო—კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი ესმა კოკოსკერია.

თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა კვლევით ცენტრში აფხაზური ენის შესწავლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. გაურჩევლად ასაკისა და პროფესიისა. მაგალითად, ამ დროისთვის კურსებზე ყველაზე პატარა მსმენელი 10 წლისაა, რომელიც ბებიისგან ნასწავლ ენაზე საუბრობს და ახლა უკვე წერა-კითხვას ეუფლება. აფხაზური ენის შესწავლას განაგრძობს ტელეკომპანია TV-3-ის ჟურნალისტი, თსუ-ის კავკასიოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი არტიომ ავაკინოვი.

„აფხაზური ენის კურსებზე სიარული დავიწყე, რადგან მინდა ენას უკეთესად დავეუფლო. უნივერსიტეტში აფხაზურს ვსწავლობდი, დროთა განმავლობაში ბევრი რამ დამავიწყდა, ახლა უკვე თითქმის ყველაფერი აღვიდგინე. ლექციებზე დადიან ბავშვებიც, რომლებმაც ნულიდან დაიწყეს აფხაზური ენის შესწავლა და ერთი სემესტრის შემდეგ უკვე შეუძლიათ წინადადებებისა და პატარა ტექსტების შედგენა. ვფიქრობ, ეს კურსის პროდუქტიულობაზე მეტყველებს. ჟურნალისტურ საქმიანობაში ჯერ არ გამომიყენებია აფხაზური ენის ცოდნა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში აფხაზ რესპონდენტთან ენობრივი ბარიერი არ მექნება. ზოგადად რომ შევაფასო, ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. თუ ორ ეთნოს შორის არსებულ ურთიერთობას გავითვალისწინებთ, უკეთესია რაც უფრო მეტი გვეცოდინება აფხაზური კულტურისა და ენის შესახებ“, — აღნიშნა არტიომ ავაკინოვმა.

თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი უახლოეს მომავალში აფხაზური ზეპირმეტყველების დაწყებით კურსს სახელმძღვანელოდ გამოსცემს. სასწავლო კურსმა აპრობაცია სხვადასხვა ორგანიზაციებში გაიარა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მისი დაბეჭდვის გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ასევე, აღსანიშნავია, რომ ცენტრში შემუშავებული მეთოდოლოგიით აფხაზური ენის დაუფლების სურვილი რამდენიმე სახელმწიფო უწყების თანამშრომელმაც გამოთქვა.

პარალელურად ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ამოქმედდა პროექტი, რომელიც აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის აღწერას ითვალისწინებს და რომლის განსახორციელებლად სამუშაოები ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულს დაიწყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა აფხაზი პოეტი ვანო მიქაია და რუდოლფ დელბა. მათთან ერთად დაიწყო მუშაობა დარგობრივ ენციკლოპედიურ გამოცემებზე, რომლებიც შემდეგ აფხაზურ ენციკლოპედიად აიკინძება. ვანო მიქაია აფხაზი მწერლების ანოტაციაზე მუშაობს, რუდოლფ დელბა კი აფხაზური ფოლკლორის ენციკლოპედიურ ლექსიკონზე.

„მათი ჩვენთან ურთიერთობა აფხაზურ სოციუმში გარკვეულ დისკომფორტს იწვევს, ამიტომ, შესაძლებელია, აფხაზმა ავტორებმა საკუთარი გვარი არ დაურთონ ნაშრომს, მაგრამ ჩვენთან მაინც ითანამშრომლებენ. მათ ისიც გვირჩიეს, რომ ამ პროექტის შესახებ, ჟენევის მოლაპარაკებების დროს, გაეროს წარმომადგენლებმა აფხაზურ ხელისუფლებას წერილი გადასცეს, რა თქმა უნდა, არაფორმალური შეხვედრებისას, რუსეთის გვერდის ავლით. ასეთ შემთხვევაში აფხაზ კოლეგებს მუშაობისთვის მეტი თავისუფლება ექნებათ. ჩვენ უკვე შევხვდით გაეროს წარმომადგენლებს, თუმცა ჯერჯერობით ამ საკითხის მოგვარება ვერ ხერხდება, რადგან გარკვეულ პოლიტიკურ წინააღმდეგობას ვაწყდებით. მთავარია, რომ აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის აღწერის დაწყება დავიწყოთ, რომელიც გაქრობის საშიშროების წინაშეა და ამას აფხაზური საზოგადოებაც გრძნობს“, — განაცხადა თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა ზურაბ შენგელიამ.

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა კვლევით ცენტრში მიმდინარე მოვლენათა ქრონიკა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებას მოიცავს: აფხაზი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გულშემატკივრის შამილ ფილიას მოგონების საღამოს (რომელიც გასული წლის ბოლოს გარდაიცვალა), ცენტრის თანამშრომლის არჩილ ოსიძის მოხსენებას იუგოსლავიაში კონფლიქტის დარეგულირების შესახებ და 5 წლის აფხაზი ასტან ბენიას გადარჩენას, რომელსაც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან ცენტრის შუამდგომლობით თბილისში გულის ურთულესი ოპერაცია წარმატებით ჩაუტარდა.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებანი ანუ „ფართოდ განათლებული მასწავლებლის“ ძიებაში

გასული საუკუნის 90–იანი წლების შემდგომ საქართველოს წინაშე მრავალი პრობლემა დადგა, რომელთაგან ნაწილის გადაჭრა ხერხდებოდა ხან საზოგადოებრიობის ძალისხმევით, ხან გარე ფაქტორების დახმარებით, იშვიათად — ხელისუფლების მეოხებით. თუმცა იყო პრობლემათა წყება, რომელთა სიმწვავეს ვერ ანელებდა დრო – ერთ-ერთი მათგანი ეფექტიანი განათლების პოლიტიკის არარსებობა იყო, რომლის მძიმე შედეგები უკვე საგანგაშოდ აისახება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სეგმენტზე. განათლების დარგი, თავისი თანმიმდევრულობისა და უწყვეტობის პრინციპიდან გამომდინარე, ხშირად კონსერვატულიც კია, ამიტომაც განსაკუთრებით ფაქიზია რადიკალური და მაქსიმალისტური ჩარევების მიმართ, მით უფრო, თუ ეს ჩარევა სერიოზული კვლევა-ანალიზის გარეშე ხდება. საბჭოთა საქართველოს შემდგომი ეპოქის განათლების სახელმწიფო პოლიტიკა, ისევე როგორც სხვა ბევრი სფერო, პირობითად ორ პერიოდად იყოფა: ე.წ. ვარდების რევოლუციამდელი და შემდგომი. პირველ ეტაპზე სრულიად თვითდინებაზე იყო მიშვებული საგანმანათლებლო პროცესები, სამაგიეროდ მეორე ეტაპზე ხელისუფლებამ სრულ პარტიულ კონტროლს დაუქვემდებარა ეს სფერო, რამაც კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედა მასზე და, საბოლოო ჯამში, უმძიმეს დღეში აღმოჩნდა კაცობრიობის პროგრესისა და ჭეშმარიტი ფასეულობების შენარჩუნებისთვის აუცილებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი – განათლება! თავი რომ დავანებოთ მეტ-ნაკლებად სანდო კვლევების სავალალო მაჩვენებელს, რეალობა ყოველდღიურად გვახსენებს, რომ ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ-კულტურული თუ ყოფითი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში მძაფრად იგრძნობა განათლების დეფიციტი.

ა. ბოჭორიშვილი, გ. ბაქრაძე, დ. უზნაძე, რ. ნათაძე, ა. ფრანგიშვილი სტუდენტებთან ერთად. 1930-იანი წლები

ქართული საგანმანათლებლო დარგის ისტორიის უფრო შორეულ პლასტებზე რომ არ ვისაუბროთ და ერთი საუკუნის წინანდელი საუნივერსიტეტო მოძრაობის დასაწყისი გავიხსენოთ, თვალნათლად გამოიკვეთება ჩვენი თვალსაჩინო მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების განსაკუთრებული დამოკიდებულება საგანმანათლებლო-საპედაგოგო დარგების მიმართ.

ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე, 26 ნოემბერს, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილის ბინაში პროფესორთა საბჭოს პირველი წინასწარი სხდომა შედგა, გადაწყდა, ახალგახსნილ უნივერსიტეტში დაარსებულიყო ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელსაც ექნებოდა სამი განყოფილება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო. ჰუმანიტარული მეცნიერებების ჩამონათვალში სხვებთან (ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი) ერთად, იმთავითვე შედიოდა პედაგოგიკა. მეცნიერების ამ დარგს დამფუძნებლები უნივერსიტეტის დაარსებისთანავე გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სწორედ ამიტომაც, 1919 წლის სექტემბერში, უნივერსიტეტის საპედაგოგიო ინსტიტუტი დაარსდა, რომლის გამგედაც პროფესორი დიმიტრი უზნაძე აირჩიეს. მას მერე, რაც, 1921 წლის ნოემბერში, პროფესორთა საბჭომ სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გააერთიანა ერთ — საპედაგოგიო ფაკულტეტად (დეკანად დაამტკიცეს კორნელი კეკელიძე, მდივნად — ზაქარია ყანჩაველი), საუნივერსიტეტო საპედაგოგიო ინსტიტუტი საპედაგოგიო ფაკულტეტის ინსტიტუტად გადაკეთდა (1922 წლის ივნისი). ამასთან ერთად, დამტკიცდა საცდელი სკოლის (შრომის სკოლის ტიპისა) დებულება, რომლის კურსის გავლა სავალდებულო გახდა ყველა იმ სტუდენტისთვის, რომელიც პედაგოგობას აპირებდა. როდესაც 1923 წელს უნივერსიტეტში გაიზარდა ფაკულტეტების რაოდენობა, ხუთ ფაკულტეტს შორის ერთ-ერთი კვლავ იყო: პედაგოგიური (სოციალურ-ეკონომიკურ, აგრონომიულ, სამკურნალო და პოლიტექნიკურ ფაკულტეტებთან ერთად).

1930 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტების რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც და ინსტიტუტებად დაიშალა. სამი წლის შემდეგ, 1933 წლის 8 იანვარს, საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის, საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის (აღდგენის) შესახებ. პედაგოგიური ინსტიტუტი კი, მთავრობის დადგენილებით, ქუთაისში გადაიტანეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (უკვე პედაგოგიურ ინსტიტუტად გარდაქმნილში) პედაგოგიკის კათედრა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, 1930 წელს ჩამოყალიბდა. მისი პირველი გამგე იყო პროფ. გიორგი თავზიშვილი.

საქართველოში პედაგოგიური აზრის კვლევა და მეთოდოლოგიური ფორმების შემუშავება მაღალ მეცნიერულ დონეზე დიდ ხანს მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა. პედაგოგიკის თეორიისა და პედაგოგიკის ისტორიის შესწავლას მიეძღვნა მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა, მათ შორის, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების შესწავლას 80-ზე მეტი, ხოლო დიდაქტიკის პრობლემების დამუშავებას — 50-ზე მეტი მონოგრაფია. ჯერ კიდევ 1932 წელს ქ. ლენინგრადში დაიბეჭდა დოც. შ. სიხარულიძის წიგნი — „პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები“. 30-იან წლებში გამოვიდა დოც. გ. გოგუაძის „აღზრდის პედაგოგიური საფუძვლები“; დოც. კ. ჭკუასელის „დამახინჯებანი განათლების ორგანოების მუშაობაში“, „პედაგოგიური ფრონტი“; დოც. დ. ყიფშიძის „პედაგოგიკის განვითარება“; პროფ. გ. თავზიშვილის „პედაგოგიკის საგანი“; პროფ. დ. ლორთქიფანიძის „სკოლის ამოცანები და პედაგოგიკის მეცნიერება“.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საშუალო და უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის სფეროს. ამ მიმართულებით შეიქმნა დოც. გ. გოგუაძის, შ. სიხარულიძის, დ. ყიფშიძის, კ. ჭკუასელის, ნ. ჩადუნელის, ქ. ჭკუასელის, პროფ. გ. თავზიშვილის, გ. კიკნაძის, ტ. სარიშვილის და სხვათა ნაშრომები. აღსანიშნავია აკად. დავით ლორთქიფანიძის ფუნდამენტური გამოკვლევები — „გაკვეთილის აგების პრინციპები“, „სწავლების პრინციპები“, „ორგანიზაცია და მეთოდები“, „ლექცია უმაღლეს სკოლაში და მისი აგების ზოგიერთი საკითხი“, „დიდაქტიკა“ და სხვა, რომლებიც თარგმნილია რამდენიმე უცხოურ ენაზე.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ერთ-ერთ წამყვან პრობლემად ითვლებოდა სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის, განსაკუთრებით ქართული პედაგოგიკის ისტორიის საკითხების კვლევა, რაც პედაგოგიკის თეორიის ეფექტიანად დამუშავების საფუძველს წარმოადგენდა. ქართული, რუსული და უცხოური პედაგოგიკის აზრის კვლევას მიეძღვნა პროფ. უ. ბოლაძის, ტ. სარიშვილის, ვ. ზამბახიძის, ო. ქინქლაძის, დოც. კ. ჭკუასელის, ივ. ჭკუასელის, ვ. ქაჯაიას და სხვათა შრომები. აკად. დ. ლორთქიფანიძის გამოკვლევებმა ი. გოგებაშვილის, ი. ა. კომენსკის, კ. დ. უშინსკის პედაგოგიურ მოძღვრებათა შესახებ მსოფლიო აღიარება მოიპოვეს და ავტორი რამდენიმე უცხოური აკადემიის საპატიო დოქტორადაც აირჩიეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავით ლორთქიფანიძე პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც პედაგოგიკის სპეციალობაში საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები დაიცვა (1937, 1947 წწ.).

საფუძვლიანად იქნა შესწავლილი ქართული პედაგოგიური პრესის ისტორია. საყურადღებო ნაშრომები შექმნეს პროფ. ვ. ზამბახიძემ, დოც. ივ. ჭკუასელმა. ყურადღება ექცეოდა პედაგოგიკის კლასიკოსთა ცნობილი ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნას. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების, დიდაქტიკის, აღზრდის თეორიის, სკოლათმცოდნეობისა და პედაგოგიკის ისტორიის სფეროში ჩატარებულმა სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ კათედრას საშუალება მისცა — შეექმნა ორიგინალური სახელმძღვანელოები და დამხმარე მეთოდური ლიტერატურა უმაღლესი სკოლების სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

კათედრის მიერ იმართებოდა საჯარო სხდომები, სამეცნიერო სესიები და კონფერენციები. პირველი ფართომასშტაბიანი სამეცნიერო სესია ჯერ კიდევ 1937 წელს მოეწყო და იგი ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, გამოქვეყნდა „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური თხზულებანი“. 1940 წელს გამართული სამეცნიერო სესია კი იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა.

1933 წლამდე პედაგოგიკა და პედაგოგიკის ისტორია იკითხებოდა ჰუმანიტარული პროფილის ფაკულტეტზე, ხოლო 1933 წლიდან ამ მეცნიერებას ასწავლიდნენ ყველა ფაკულტეტზე.

განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა. ქვეყნის საშუალო და უმაღლესი სკოლების მასწავლებელთა მრავალი თაობა სწორედ პედაგოგიური პრაქტიკით იწყებდა მოღვაწეობას და დაოსტატებას. შეიქმნა საშუალო და უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდიკისადმი მიძღვნილი მრავალი შრომა. უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ განათლების სამინისტროს მუშაობაში. 1985 წელს მომზადდა საინტერესო კრებული — „სკოლის რეფორმა და უნივერსიტეტის სტუდენტთა პედაგოგიურ-პროფესიული მომზადების ზოგიერთი საკითხი“. კათედრის ბაზაზე წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სადოქტორო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალური სამეცნიერო საბჭო, რომლის ავტორიტეტზე და მეცნიერულ დონეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აქ, ქართველ მკვლევართა გარდა, დისერტაციებს იცავდნენ რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბალტიისპირეთის, შუა აზიის, ჩეხოსლოვაკიის დღეს უკვე აღიარებული მეცნიერ-პედაგოგები.

შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ თბილისის უნივერსიტეტში განათლების მეცნიერების სათავეებთან უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ცნობილი მეცნიერი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი დიმიტრი უზნაძე იდგა.

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის 1918 წლის პირველი სემესტრის სამუშაო სასწავლო გეგმა შემდეგ საგნებს შეიცავდა: ფილოსოფიის შესავალი და ფილოსოფიის სემინარი, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შესავალი, ზოგადი ენათმეცნიერება, მსოფლიო ისტორია, ქართულ სიძველეთა მეცნიერება ანუ არქეოლოგია, საქართველოს ისტორია და საისტორიო პროსემინარი, საეკლესიო ისტორია, ქართული ძველი მხატვრული მწერლობის ისტორია, რუსეთისა და სლავების ისტორია, ქართული სამართლის წყაროები და ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, მიწათმფლობელობა საქართველოში, ძველი ქართული ენა, ლათინური ენა, ძველი არაბული ენა, ძველი სომხური ენა, სპარსული ენა, გერმანული ენა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა. მაშასადამე, სხვა დარგებთან ერთად, უნივერსიტეტის პირველივე თაობის სტუდენტობა ფსიქოლოგიის მეცნიერებასაც სწავლობდა. პედაგოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ფსიქოლოგიის სალექციო კურსს დიმიტრი უზნაძე კითხულობდა, რომლის ინიციატივით, 1923 წელს, უნივერსიტეტში ფსიქოლოგიური ლაბორატორია გაიხსნა, ხოლო საქართველოში 1926 წელს თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შემადგენლობით ფსიქოლოგთა საზოგადოებაც დაარსდა. უნივერსიტეტში შეიქმნა და დაიხვეწა საქვეყნოდ ცნობილი დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. უნივერსიტეტის კედლებში განვითარდა ქართული ფსიქოლოგიური სკოლა.

მეცნიერულმა ღვაწლმა დიმიტრი უზნაძეს ნამდვილი აღიარება, სამწუხაროდ, სიკვდილის შემდეგ მოუტანა. მისი და მისივე მოწაფეების კვლევები განზოგადდა მონოგრაფიაში „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა. ერთი წლის შემდეგ

მე-7 გვერდზე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებანი ანუ „ფართოდ განათლებული მასწავლებლის“ ძიებაში

მეექვსე გვერდიდან

დიდი მეცნიერი გარდაიცვალა და შემდგომ სამეცნიერო გამოხმაურებებსა თუ დისკუსიებს, რომლებმაც მთელი სიღრმით წარმოაჩინა უზნაძის მეცნიერული მიღწევები, თავად ვეღარ მოესწრო. დიმიტრი უზნაძემ მომავალ მეცნიერ ფსიქოლოგთა აღზრდაზე ზრუნვა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდანვე, ანუ უნივერსიტეტის დაარსებიდანვე დაიწყო. 1925 წელს, მისი ინიციატივით, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ფსიქოლოგიის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვა და ერთი წლის სტიპენდია დაუნიშნა ანგია ბოჭორიშვილს, შემდგომში ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ქუთაისის პედინსტიტუტში ფსიქოლოგიის კათედრის დამაარსებელს, აკადემიკოსს. დიმიტრი უზნაძის გარდაცვალების შემდეგ კათედრას სათავეში ჩაუდგა მისივე მოწაფე რევაზ ნათაძე. კათედრაზე სამეცნიერო კვლევა ფსიქოლოგიის თითქმის ყველა დარგის მიმართულებით ხორციელდებოდა, იქმნებოდა ნაშრომები — ზოგად ფსიქოლოგიაში, დიფერენციალურ, ბავშვისა და გენეტიკურ ფსიქოლოგიაში, პედაგოგიურ ფსიქოლოგიასა თუ დეფექტოლოგიაში.

30-იან წლებშივე დ. უზნაძე ცდილობდა ფსიქოლოგიის მეცნიერული მიღწევების ცხოვრებაში გამოყენებას — მისი ინიციატივით იქმნებოდა ფსიქოლოგიის ლაბორატორიები, ბავშვთა აღზრდისა და განათლების ფსიქოლოგიურ-მეთოდური კაბინეტები, საავადმყოფოებში — კლინიკური ფსიქოლოგიის განყოფილებები. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისთვის, როგორც ჩანს, ნაკლებად კონტროლირებად სფეროდ ჩაითვალა ამგვარი საქმიანობა და, 1937 წლის მთავრობის დადგენილებით, მხოლოდ ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების უფლება მიეცა ფსიქოლოგიას. ამის გამო პრაქტიკული და გამოყენებითი ფსიქოლოგია საერთაშორისო მიღწევებს საგრძნობლად ჩამორჩა. 1971 წელს ფსიქოლოგიის კათედრას გამოეყო ჯერ შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. გ. კეჩხუაშვილი), შემდეგ სოციალური ფსიქოლოგიის კათედრა (გამგე დოც. რ. ქვარცხავა) და პედაგოგიური და ასაკობრივი ფსიქოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. ა. ბაინდურაშვილი).

უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის დარგი ჯერ ისტორიის, შემდეგ იურიდიული, ხოლო ბოლოს ფსიქოლოგია–ფილოსოფიის ფაკულტეტის შემადგენლობაში ვითარდებოდა. დამოუკიდებელი სახით ფსიქოლოგიის ფაკულტეტი 1990 წელს დაფუძნდა. ფაკულტეტი სპეციალისტებს ოთხი მიმართულებით ამზადებდა: ზოგადი ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის და შრომისა და ეკონომიკური ფსიქოლოგიის.

სამეცნიერო ძიებანი ოთხი ძირითადი მიმართულებით წარმოებდა: 1) პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემები; 2) შემეცნებითი პროცესების კვლევა; 3) ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი; 4) რელიგიური ფსიქოლოგია.

შრომისა და ეკონომიკური ფსიქოლოგიის კათედრის სამეცნიერო თემატიკის მაგისტრალურ მიმართულებას წარმოადგენდა პიროვნების შრომითი, პროფესიული მოქმედების განწყობისეული ორგანიზაციისა და ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის პრობლემა. პრაქტიკულ გამოყენებით სფეროში კათედრის მუშაობის ტრადიციას საფუძველი ჯერ კიდევ კათედრის დაარსებამდე – სამოციანი წლების მეორე ნახევარში, კიბერნეტიკის ფაკულტეტის საინჟინრო ფსიქოლოგიის განყოფილებაში ჩაეყარა.

ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრა, განათლების სამინისტროს მოთხოვნით, ხელმძღვანელობდა სკოლის პრაქტიკოს ფსიქოლოგთა მომზადებას. 1980 წლიდან თბილისის რამდენიმე სკოლაში ექსპერიმენტის სახით მუშაობა დაიწყეს ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებმა. სკოლებში ფსიქოლოგთა პრაქტიკული საქმიანობა მოითხოვდა მნიშვნელოვან თეორიულ ბაზას. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრის თანამშრომლები ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ ამ მიმართულებით.

ინტენსიურად მუშავდებოდა ფსიქოლოგიის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა უმცროსი, გარდამავალი და ადრეული ჭაბუკობის ასაკში ზნეობრივი ცნობიერების, მოწიფულობის გრძნობის, ემოციური და ნებელობითი სფეროს, მოთხოვნილებების, თვითცნობიერების, თვითშეფასებისა და შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების თავისებურებები. სტუდენტთა მომზადებას სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით სოციალური ფსიქოლოგიის კათედრა ხელმძღვანელობდა. იგი მუშაობას წარმართავდა სამი მიმართულებით: 1. თეორიული სოციალური ფსიქოლოგიის; 2. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის; 3. ეთნოფსიქოლოგიისა და პოლიტიკური ფსიქოლოგიის. ფსიქოლოგიის ფაკულტეტს მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო ურთიერთობები ჰქონდა მსოფლიოს ბევრ ფსიქოლოგიურ ცენტრთან — ჰიუსტონის, სამხრეთ კაროლინის, ნიუნბერგის, ახალი ზელანდიის, ზაარბრიუკენის უნივერსიტეტების ფსიქოლოგიის ფაკულტეტებთან და ინსტიტუტებთან.

ამ დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური მიღწევების შემდეგ გაივლის არც თუ ისე დიდი დრო და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ერთ-ერთ ეპისტოლეში საზოგადოებას შეახსენებს მივიწყებული წარსული მეცნიერული წარმატებების შესახებ: „არ შეიძლება მხოლოდ ძველი სტერეოტიპებით ცხოვრება, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ახალი ღირებულებების შეთვისებასთან ერთად, არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციული და ზნეობრივი ფასეულობანი... სასწავლო პროგრამებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ განათლების სამინისტროს არ უნდა დაეკისროს; განათლების რეფორმა ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის



განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს და, რადგან საქმე ერის მომავალს ეხება, მისი განხილვა ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.“ ხშირად მსჯელობს ილია მეორე აღზრდა-განათლების პრობლემების თაობაზე. ერთი ქადაგებისას იტყვის: „მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს რომ არ ჩამოვრჩეთ, საჭიროა ინფორმაციის ფლობა და ანალიტიკური აზროვნება, მით უმეტეს, დიდი სახელმწიფოების დაინტერესების სფეროში მყოფი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ამიტომაც ანალიტიკური აზროვნება საჭიროა ბავშვობიდანვე ისწავლებოდეს. ამ საგნის შემოღება დიდად დაეხმარება ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს — ადვილად დაეუფლონ თავის მომავალ სპეციალობას. რაკი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება, კარგი იქნება, თუ საბავშვო ბაღებში ბატონ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიაზე დაყრდნობით პატარებს გავუღვივებთ როგორც ერთმანეთის, ისე, საერთოდ, ადამიანის თანადგომის სურვილს, პატიების უნარს, უფროსის პატივისცემას, მამულის სიყვარულს. სკოლაში აუცილებლად უნდა იყოს ფსიქოლოგი, რომელიც პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად დააკვირდება მოსწავლეს და დაეხმარება ღვთისგან ბოძებული ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაში. აღზრდის საქმეში მასწავლებელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არ შეიძლება — სკოლაში შემთხვევითი ადამიანები მუშაობდნენ. სამწუხაროდ, ამას ჩვენთან არ ექცევა სათანადო ყურადღება, რის გამოც ყველაზე მეტად მომავალი თაობა ზიანდება...“

ეს სიტყვები კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს უნივერსიტეტში 2004 წელს ყოველგვარი სიტუაციური ანალიზის გარეშე განხორციელებული რეფორმის შემდგომ ჩრდილში მოქცეული დარგებისა და საუნივერსიტეტო ისტორიაში მათ სათავეში მდგარი დიდი მეცნიერების ღვაწლის მნიშვნელობას.

სამწუხაროდ, ქვეყანაში მიმდინარე დიდი თუ მცირე პოლიტიკური ცვლილება ხშირად უარყოფითად აისახებოდა ხოლმე თბილისის უნივერსიტეტის ცხოვრებაზე. იყვნენ პოლიტიკური ძალები და პიროვნებები, რომლებიც, საკუთარი ძალაუფლების წყალობით, ცდილობდნენ საუნივერსიტეტო საქმიანობის საკუთარი პოლიტიკურ-მერკანტილური მოსაზრებების შესაბამისად გამოყენებას. ჯერ კიდევ 1925 წელს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიურმა სექციამ შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვით, პედაგოგიური ფაკულტეტის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ისტორიული დარგები უნდა გაუქმებულიყო, ქართული მწერლობის ისტორია უნდა შემოფარგლულიყო ახალი და უახლესი ხანით. ივანე ჯავახიშვილმა განათლების სახალხო კომისარიატში გააგზავნა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც წერდა: „რატომ უნდა დანგრეულ იქმნეს პედაგოგიური ფაკულტეტი და განადგურებული ის დიდი მუშაობა და მოღვაწეობა, რომელიც ამ შვიდი წლის განმავლობაში გაწეული იყო და დიდის ენერგიით მოპოვებული? მასწავლებლის მოწოდება და წოდება იმდენად მაღალი და დიდია, რომ ის, ვითარცა მომავალი თაობის აღმზრდელი საუკეთესოდ და ფართოდ უნდა იყოს განათლებული, თავისი სპეციალობის მეცნიერების უკანასკნელ მიღწეულობათა მცოდნე და მისი წარმატების თვალყურის მდევნელი. მხოლოდ ასეთი პირი ასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას, ამიტომ მას შესაფერისი მომზადება უნდა ჰქონდეს და პედაგოგიური ფაკულტეტის პროგრამის გამარტივება კი არა, პირიქით გაფართოება სჭირდება“. ივანე ჯავახიშვილის პრინციპული პოზიციის წყალობით, მაშინ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული სწავლებისა და კვლევის ტრადიციების ხელაღებით უარყოფა, თუმცა 1926 წელს ივანე ჯავახიშვილი ჩამოაშორეს რექტორის თანამდებობას, ხოლო მოგვიანებით უნივერსიტეტიდანაც გააძევეს და საშინელი განკითხვის დღეებიც მოუწყვეს!... ივანე ჯავახიშვილი ერთადერთი იყო!.. თუმცა მომდევნო პერიოდშიც იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდებოდა უნივერსიტეტში ისეთი ლიდერი, რომელიც ხან საკუთარი მეცნიერული ავტორიტეტის წყალობით, ხანაც მოხერხებულობით ახერხებდა ხელისუფლებისათვის შეეცვლევინებინა უნივერსიტეტისათვის (მაშასადამე, განათლებისა და მეცნიერებისათვის) მიუღებელი გადაწყვეტილებები. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ხელისუფლების მიერ განხორციელებულ საუნივერსიტეტო რეფორმას, რომლის მიზანი სრულიად ცალსახად პოლიტიკური იყო და არაფერი ჰქონდა საერთო განათლებასთან, შეეწირა მრავალი საუნივერსიტეტო ტრადიციული დარგი და სტრუქტურული ერთეული, მათ შორის განსაკუთრებით დაზარალდა განათლებისა და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა როლიც და მათი განვითარების შესაძლებლობაც.

მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, უნივერსიტეტი მუდამ ახერხებდა გაძლიერებას და მისი სიძლიერე სწორედ იმითი გამოიხატებოდა, რომ საზოგადოებას შეახსენებდა ყველაზე მტკივნეულ პრობლემებს და არა მხოლოდ შეახსენებდა, არამედ სთავაზობდა გადაჭრის გზას და, რაც მთავარია, თავად იწყებდა ამ პრობლემათა მოგვარებაზე ზრუნვას. ახლა ჩვენს წინაშე ყველაზე მწვავე გამოწვევა განათლების პრობლემაა, რომელიც უნდა გადაჭრას, როგორც ივანე ჯავახიშვილი იტყოდა, „თაობის აღმზრდელმა, საუკეთესოდ და ფართოდ განათლებულმა, თავისი სპეციალობის მეცნიერების უკანასკნელ მიღწეულობათა მცოდნე და მისი წარმატების თვალყურის მდევნელმა“ მასწავლებელმა.

მოამზადა
ზურაბ გაიპარაშვილმა

(გამოყენებული ლიტერატურა:
გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918-1948, 1948 წ.;
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: 1918-1998 წწ.;
ს.ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ. 1988;
ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ. 1984 წ;
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 2004 წ.)

ახლად არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობს

მეხუთე მოწვევის თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მუშაობას ოფიციალურად შეუდგა. სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანოს სტრუქტურაში უკვე სიახლეებია. დამატებით შეიქმნა სტუდენტთა უფლებების დაცვისა და ანალიტიკური დეპარტამენტები. რაც შეეხება კონკრეტულ ღონისძიებებს, ამ დროისთვის, წინა მოწვევის თვითმმართველობის მიერ დაწყებული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს, თუმცა პარალელურად დელეგატები ახალი სამოქმედო გეგმის შედგენით არიან დაკავებულნი. გეგმის პრიორიტეტული მხარე – განათლება და მეცნიერებაა. მისი საბოლოო ვარიანტის პრეზენტაცია კი სექტემბერში გაიმართება. ახალი მოწვევის თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ცვლილებების განხორციელებას წესდებაშიც აპირებს. უფრო კონკრეტული დეტალების შესახებ გავესაუბრეთ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტს **შალვა საბაურს** *და ვიცე-პრეზიდენტებს — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს* **პაატა ბახტურიძეს** *და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს* **თორნიკე ცინაძეს**.

შალვა საბაური

პაატა ბახტურიძე

თორნიკე ცინაძე

— ***რა ვითარებაა ამ დროისთვის თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში, რა მიმართულებებით მიმდინარეობს მუშაობა?***

შალვა საბაური: სტუდენტურ თვითმმართველობაში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს. მანამდე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი ვიყავი. ჩემი პროფესიის გარდა მენეჯმენტის საკითხებიც მაინტერესებს. მაგალითად, რა ქმნის სტიმულებს ენთუზიაზმზე მუშაობისთვის. სტუდენტურ თვითმმართველობაში მნიშვნელოვანია ეს საკითხი, რადგან საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე საკმაოდ დიდი დატვირთვით მუშაობს. ჩვენ ახალ ხელმძღვანელობას წარმოვადგენთ და ბევრ ისეთ საკითხში გვიწევს გარკვევა, რისი ცოდნაც აქამდე ჩვენთვის სავალდებულო არ იყო. ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება. მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს. ჩვენი პირველი ინიციატივები ორი ახალი დეპარტამენტის ჩამოყალიბებას უკავშირდება — სტუდენტების უფლებების დაცვისა და ანალიტიკური დეპარტამენტების. ანალიტიკური დეპარტამენტი შიდა მენეჯმენტის გამართვაზე იმუშავებს, იზრუნებს კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს გარკვეულ ბიუროკრატიულ საკითხებთან გამკლავება. გარდა ამისა, შინაარსობრივი კუთხითაც ვმუშაობთ — რა პროექტები უნდა გავაკეთოთ და როგორ.

— ***მეხუთე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის პირველი შეკრებისას ცესკო-ს თავმჯდომარემ გამოთქვა ინიციატივა, რომ გარკვეული ცვლილებები მომხდარიყო სტუდენტური თვითმმართველობის წესდების გასაუმჯობესებლად. თუ დაიწყეთ ამ საკითხებზე მუშაობა?***

შალვა საბაური: დიახ, ეს საკითხი დემეტრე ეგნატაშვილმა დასვა, თუმცა ამაზე საუბრები მანამდეც იყო. ახლა ვმუშაობთ კომისიის შექმნაზე — ვინ უნდა შევიდეს მასში და როგორ იმუშაოს. ამ კომისიაში ყოფნისთვის მხოლოდ ნება-სურვილი საკმარისი არ არის, შესაბამისი კომპეტენციების ფლობაც საჭიროა. ვფიქრობთ, ამ პროცესში ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ჩავრთოთ თუ არა, მაგრამ უფრო მეტად შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტებმა წარმართონ ეს პროცესი. სტუდენტური თვითმმართველობის წესდებაში ბევრი ნიუანსია გასასწორებელი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დოკუმენტი მთლიანად ფარსია. წესდების დამტკიცების მერე სტუდენტური თვითმმართველობის მენეჯმენტში ბევრი რამ შეიცვალა და საჭიროა ამის სამართლებრივი დასაბუთებაც

— ***სტუდენტური თვითმმართველობის წინა საარჩევნო პროცესში სტუდენტები აკრიტიკებდნენ თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილებას, უფრო კონკრეტულად კი საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების საკითხს, რომელსაც პრეზიდენტი წყვეტს.***

შალვა საბაური: კრიტიკა შეიძლება იყოს და ეს მისაღებია, თუმცა კრიტიკის პასუხებიც მისაღები უნდა იყოს. სტუდენტური თვითმმართველობა არ აღიქმება სივრცედ, სადაც ყველას ერთნაირი მოსაზრება აქვს. თუ სტუდენტური თვითმმართველობა რაღაცას წყვეტს, ეს არის საერთო მოსაზრება და არა მხოლოდ ერთი ადამიანის. ვგეგმავთ ცვლილებების განხორციელებას. ჩვენც ვთანხმდებით, რომ ასეთი უფლებამოსილებები ერთად არ უნდა იყოს თავმოყრილი. ასევე არის მეორე მხარეც, თუ გარკვეული საკითხების გადაწყვეტა პროცედურულად გავწელეთ, მენეჯმენტი არაეფექტური გახდება. ზოგადად მინდა აღვნიშნო, რომ ორგანიზაციაში, სადაც მუშაობა ენთუზიაზმზეა დაფუძნებული, დიქტატის შექმნა შეუძლებელია. ჩვენთან ნებისმიერი გადაწყვეტილება საერთო მსჯელობის შედეგად მიიღება და საკითხს პრეზიდენტი უბრალოდ წარადგენს.

— ***სტუდენტური თვითმმართველობის წევრების ერთ-ერთი მოვალეობა საფაკულტეტო საბჭოების მუშაობაში მონაწილეობის მიღება და სტუდენტების ინტერესების წარდგინება-დაცვაა. გეგმავთ თუ არა ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება-გაუმჯობესებას?***

შალვა საბაური: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების XIX მუხლი არეგულირებს ფაკულტეტების საბჭოების მუშაობას, სადაც აკადემიურ პერსონალთან ერთად სტუდენტებიც არიან წარმოდგენილნი. ფაკულტეტის საბჭოს წესდება დასარეგულირებელი იყო, რაც თსუ-ის სამართლებრივი სტატუსის ცვლილებამ გამოიწვია. საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ 1/4-ისა უნდა ყოფილიყვნენ სტუდენტები, თუმცა ასე არ იყო. ახლა წესი ნელნელა რეგულირდება. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტების რაოდენობა უკვე 10 წევრამდე გაიზარდა. ამ პროცესებს ყურადღებით ადევნებს თვალყურს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭო, რომელიც ხელს უწყობს, რომ ყველა ფაკულტეტის საბჭოების წევრმა სტუდენტებმა ერთმანეთთან კოორდინირებულად იმუშაონ.

— ***თქვენ ახსენეთ, რომ შეიქმნა სტუდენტების უფლებათა დაცვის დეპარტამენტი. ეს დეპარტამენტი წინა მოწვევის თვითმმართველობაშიც ფუნქციონირებდა, თუმცა მოგვიანებით გაუქმდა. რა ქმედებებს განახორციელებს იგი ამ სტრუქტურული ერთეულის ეფექტურად მუშაობისთვის?***

შალვა საბაური: წინა მოწვევის თვითმმართველობებში რატომ ვერ იმუშავა ამ დეპარტამენტმა, ვერ გეტყვით, მაგრამ ახლა მას ექნება დალაგებული ფუნქციები და სტრუქტურა. ამაზე სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ერთობლივად ვმუშაობთ. შეიქმნება სტატისტიკური დოკუმენტები — თუ რა მიმართულებით ირღვევა სტუდენტების უფლებები და შევიმუშავებთ ამ პრობლემების აღმოფხვრის გზებს. არ გვექნება ხისტი დამოკიდებულება, გავითვალისწინებთ უნივერსიტეტის შესაძლებლობებს და, შესაბამისად, შევთავაზებთ პრობლემების გამოსწორების მეთოდებს. სტუდენტური თვითმმართველობა ინფორმაციის ერთგვარი გამტარი უნდა იყოს სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის.

— ***თუ არის ცნობილი უკვე სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტების ხელმძღვანელების ვინაობა?***

შალვა საბაური: ხელმძღვანელები უკვე შევარჩიეთ. რადიკალური ცვლილებების განხორციელება არ გვსურდა, ამიტომ დეპარტამენტებს ის ადამიანები ხელმძღვანელობენ, ვისაც შესაბამისი გამოცდილება უკვე აქვთ. ჯერჯერობით დაწყებული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს. სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების შემდეგ კი ახალი პროექტების ამუშავებაზე ვიზრუნებთ. რაც შეეხება დეპარტამენტების ხელმძღვანელების ვინაობას, კულტურის დეპარტამენტს თათა ბეჟაშვილი ხელმძღვანელობს, განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტს — მერი კაპანაძე, ტურიზმის დეპარტამენტს – თემურ ქობალია, სპორტის დეპარტამენტს – თამარ ჯავახიშვილი, სტუდენტების უფლებათა დაცვის დეპარტამენტს – თეონა მინდიაშვილი, რომელმაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხმების სოლიდური რაოდენობა მიიღო და, შესაბამისად, სტუდენტების ნდობაც. ანალიტიკური დეპარტამენტის მუშაობას კი გიორგი კაკაურიძე წარმართავს.

— ***ახლა რა პროექტებს ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობა და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას რომელი სფერო იქნება თქვენთვის პრიორიტეტული?***

შალვა საბაური: განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს ატარებს ევროკავშირთან ინტეგრაციის თემაზე. სხვათა შორის ამ დეპარტამენტის პროექტებზე სტუდენტების განწყობა მაინცდამაინც დადებითი არ არის. ამბობენ, რომ ცოტა ღონისძიებებს ახორციელებს ან ნაკლებად მასშტაბურს. ზოგადად, ჩვენ ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარებისას ვაკვირდებით სტუდენტების რაოდენობას და ვაანალიზებთ ორგანიზების ხარისხს. განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის პროექტები სტუდენტებში ყოველთვის უფრო ნაკლებ ინტერესს იწვევს, ვიდრე მაგალითად, ტურიზმის დეპარტამენტის. ამჯერად, ჩვენი პრიორიტეტია, რომ სტუდენტებს მეტი სტიმული შევუქმნათ საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

პაატა ბახტურიძე: არაოფიციალურად პროექტების შინაარსზე შედარებით მეტი პასუხისმგებლობა მე მაქვს აღებული. სექტემბრიდან ახალი სამოქმედო გეგმის მიხედვით ახალი პროექტების განხორციელებას დავიწყებთ. სამოქმედო გეგმაზე ერთობლივად — პრეზიდენტის აპარატი, დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების ხელმძღვანელები ვმუშაობთ. ტრადიციული პროექტები, კერძოდ, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ და ა.შ. გაგრძელდება. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სტუდენტების ინტერესს დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ამისათვის ანალიტიკური დეპარტამენტი სტუდენტების გამოკითხვებსაც ჩაატარებს. სტუდენტებსაც დავეხმარებით პროექტების განხორციელებაში. იურიდიული ფაკულტეტის ერთმა სტუდენტმა უკვე მოგვმართა დახმარების თხოვნით და სექტემბრისთვის ღონისძიება უკვე დავგეგმეთ.

— ***სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებასთან დაკავშირებითაც არაერთი პრეტენზია არსებობს სტუდენტებში...***

შალვა საბაური: ამაზე არაერთი ფანტაზიური წარმოდგენაა შექმნილი – ამბობენ, სტუდენტური თვითმმართველობა „ჭამს“ ბიუჯეტს... არადა სამართლებრივი ჭეშმარიტებაა, რომ თვითმმართველობას არანაირი ბიუჯეტი არ აქვს. არსებობს სტუდენტური ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხა, რომელიც ყოველ წელს სხვადასხვა რაოდენობისაა და ნებისმიერი სტუდენტი, ვისაც აქვს პროცედურული ცოდნა — თუ როგორ უნდა მოხდეს მოთხოვნა, როგორ უნდა დაიგეგმოს საპროექტო ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა, შეძლებს პროექტის განხორციელებას. თუ მოინდომებენ და ნახავენ, რაოდენ დიდი შრომა სჭირდება ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებას, არა მგონია, ასეთი ზერელე კრიტიკით შემოიფარგლონ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს ხელფასს არავინ უხდის, რათა სტუდენტური ცხოვრება საინტერესო გახადონ. ისინი დილიდან საღამომდე, ხშირად შაბათ-კვირასაც მხოლოდ ენთუზიაზმზე მუშაობენ.

— ***ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას თუ თანამშრომლობთ თსუ-ის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან?***

თორნიკე ცინაძე: სტუდენტურ თვითმმართველობაში მიმდინარე საქმიანობაში, რა თქმა უნდა, მეც ვარ ჩართული, მაგრამ უფრო მეტად ადმინისტრაციასთან ურთიერთობა მევალება. ასე რომ, მათთან ვთანამშრომლობთ. შესაძლოა რაიმე ქმედების განხორციელება უნივერსიტეტის წესდებას არ შეესაბამებოდეს, ან შესაძლოა ჩვენ ყველაფერი ვერ გავითვალისწინოთ, ამიტომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ვხვდებით და კონსულტაციებს გავდივართ. მათ უფრო მეტი გამოცდილება აქვთ, რომ გარკვეულ საკითხებზე რჩევები მოგვცენ. რაც შეეხება რექტორს, ჯერჯერობით პირადად არ ვიცნობ, თუმცა უახლოეს მომავალში შეხვედრას ვგეგმავთ.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

ПРОФИЛИ

ახალგაზრდა ისტორიკოსი უახლესი ისტორიის პირისპირ

გასული საუკუნის 80-იან წლებში საკუთარი ქვეყნის წარსულის მიმართ საზოგადოების ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური რეჟიმი ყველა დასაშვები და დაუშვებელი ხერხით ცდილობდა — საქართველოს ისტორიის შესახებ მოსახლეობას თითქმის არაფერი სცოდნოდა, ლამის სტიქიურად გაჩენილ ინტერესს ვეღარაფერს უპირისპირებდა. ახალგაზრდა თაობა, რომელიც ჯერ ისევ კომკავშირელ-პიონერად იწოდებოდა, ერთნაირად იყო აღფრთოვანებული საქართველოს უძველესი ისტორიითა და დასავლური ცივილიზაციით. სწორედ ამ თაობის მეცნიერია ბონდო კუპატაძე. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი 1991 წელს გახდა და დღემდე 90-იანელთათვის დამახასიათებელი რომანტიზმით ცდილობს დასავლეთის საუკეთესო ტრადიციებისა და მიღწევების დანერგვას საქართველოს ისტორიის კვლევაში, სწავლებასა და პირად ცხოვრებაში.

ჩვენი რუბრიკის სტუმარია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე.

— უნივერსიტეტში უმძიმეს პერიოდში შემოხვედით. მოშლილი იყო სამეცნიერო და სასწავლო მუშაობა და სამეცნიერო კარიერაზე ფიქრი წარმოუდგენელიც კი ჩანდა. შეიძლება ითქვას, მთელი თაობა დაიკარგა, რადგან ნიჭიერ ადამიანებს სხვა მიმართულებით მოუხდათ საქმიანობის გაგრძელება. როგორ გააკეთეთ არჩევანი და რა პერსპექტივა დაინახეთ ისტორიკოსის პროფესიაში?

— ისტორიკოსობა ჯერ კიდევ იმ ასაკში გადავწყვიტე, როდესაც გააზრებულად არ ირჩევენ პროფესიას. შეიძლება დაუჯერებლადაც კი ჩანდეს, მაგრამ როგორც კი კითხვა დავიწყე, დაახლოებით 6-7 წლის ასაკიდან, ჩემი პირველი საკითხავი ლიტერატურა იყო პოპულარული მოთხრობები ისტორიიდან. უნდა ითქვას, რომ ჩვენს თაობაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებმა", რომელიც ბავშვობაში ჩემთვის ყველაზე საყვარელი წიგნი იყო და მრავალჯერ მაქვს გადაკითხული. ვფიქრობ, რომ ამ პროფესიის არჩევაში სერიოზული როლი ითამაშა თვითონ იმ ეპოქამ და საქართველოს მაშინდელმა მდგომარეობამ. ჩვენ ის თაობა ვიყავით, რომელიც სკოლის ასაკიდან აქტიურად ჩავებით ეროვნულ მოძრაობაში. დღეს ბავშვურ გატაცებად ჩანს, რომ სკოლაში დავაარსეთ „პაატა სააკაძის საზოგადოება" და საკმაოდ სერიოზულადაც ვეკიდებოდით ამ საქმეს.

მე თბილისის 178-ე სკოლა დავამთავრე, სადაც სწავლება ორ – ქართულ და რუსულ სექტორზე მიმდინარეობდა. ჩვენ მიერ დაარსებული საზოგადოების სახელით შევადგინეთ პეტიცია და დირექტორისგან ვითხოვდით ქართული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი წრეების შექმნას რუსული სექტორის იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ეროვნებით ქართველები იყვნენ. ახლა ეს ყველაფერი ძალიან სასიამოვნო გასახსენებელია, თუმცა დაძაბული პერიოდი იყო და ამის გამო მრავალი პრობლემა იქმნებოდა. ეს ბავშვური თამაშები იმაზე მეტყველებდა, რომ ჩემი ინტერესი იმდენად აქტიური პოლიტიკა არ იყო, რამდენადაც თვითონ პოლიტიკის კვლევა. ამან განაპირობა საბოლოო არჩევანიც: ისტორიკოსობა თავიდანვე კატეგორიულად მქონდა გადაწყვეტილი და საერთოდ არ ვფიქრობდი — მატერიალური და ყოფითი თვალსაზრისით თუ რამდენად მომგებიანი და პრაგმატული იქნებოდა ამგვარი არჩევანი.

— სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა როდიდან დაიწყეთ?

— წელს 20 წელი გახდება, რაც უნივერსიტეტში ვმუშაობ. 1994 წელს, ჯერ კიდევ მე-3 კურსზე სწავლისას მუშაობა დავიწყე ქართული სახალხო და სახელმწიფო დიპლომატიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ლაბორანტად. ეს ცენტრი უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა როინ მეტრეველმა 1993 წელს დააარსა და სწორედ მან მიგვიწვია ახალგაზრდული საისტორიო ჟურნალ „არტანუჯის" გამომცემელი ისტორიკოსები ბუბა კუდავა, ჯაბა სამუშია, ნიკო ჯავახიშვილი და მე. ცენტრმა 2009 წლამდე იარსება და ამ პერიოდამდე ცენტრის თანამშრომლად ვითვლებოდი. აქ საკმაოდ საინტერესო პროექტები განხორციელდა. ყოველწლიურად გამოდიოდა წელინდეული (სტატიების კრებული) „ქართული დიპლომატია", რომელიც გამორჩეული სამეცნიერო გამოცემა იყო. გარდა ამისა, ცენტრმა მოამზადა ქართული დიპლომატიური ლექსიკონის ორტომეული, რომელიც გამოცემისთანავე სამაგიდო წიგნად იქცა დიპლომატებისთვის. აქვე მომზადდა საქართველოში პირველი ენციკლოპედიური ლექსიკონი - ივანე ჯავახიშვილი, რომელშიც თავმოყრილი იყო ივანე ჯავახიშვილის შესახებ სრული ინფორმაცია; გამოიცა „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები" (ორტომეული) და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „ქართული დიპლომატიის ისტორია". ეს საგანი დღესაც ითვლება არჩევით კურსად ისტორიის მიმართულებაზე; მომზადდა ქართული დიპლომატიის ისტორიის ქრესტომათია – საქართველოს ისტორიის წყაროების კრებული, რომელიც დღესაც ძალიან პოპულარულია როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევართა შორის და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. საერთოდ, ამ ცენტრში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა და მისი არსებობა მნიშვნელოვანი გახლდათ. ეს რაც შეეხება ჩემი მოღვაწეობის პირველ ეტაპს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მეორე ეტაპი, რომელიც სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას უკავშირდება, დავიწყე დისერტაციის დაცვის შემდეგ, 2001 წელს. დისერტაცია მოვამზადე თემაზე „საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო". ზოგადად, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტი ვარ და განსაკუთრებით მაინტერესებს სახელმწიფო პოლიტიკის და ხელისუფლების ისტორიის საკითხები, ამ მიმართულებით დღესაც განვაგრძობ მუშაობას.

პედაგოგიური საქმიანობა თსუ-ში 2002 წელს დავიწყე. ჯერ დოცენტის, შემდეგ ასისტენტ-პროფესორის და ამჟამად ასოცირებული პროფესორის რანგში ვკითხულობდი და ვკითხულობ როგორც საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს, ისე სპეციალურ კურსებს – საქართველოს ისტორია მე-19 საუკუნეში, მე-20 საუკუნეში, სპეციალურ არჩევით კურსებს, როგორიცაა: პარლამენტარიზმის ისტორია, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული დიასპორების ისტორია. სხვათა შორის, დიასპორების ისტორია საყურადღებო და საინტერესო მიმართულებაა. მას შემდეგ, რაც შეიქმნა დიასპორების საკითხებში სამინისტრო, უფრო გაღრმავდა კონტაქტები ქართულ დიასპორებთან. ისტორიულის გარდა, საზოგადო და სახელმწიფო ინტერესი ძალიან დიდი დევს ამ საქმეში და, ამიტომ, ჩვენ ჯერ კიდევ 2003 წლიდან დავიწყეთ ინტენსიური მუშაობა ტაო-კლარჯეთის, იქაური დიასპორისა და თურქეთის საქართველოში არსებული ისტორიული ძეგლების შესწავლაზე. უკვე შედგა 4 ექსპედიცია, რომელშიც მივიღეთ მონაწილეობა. რაც ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, წელს გავიმარჯვეთ რუსთაველის ფონდის პროექტში „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეთა სისტემა". ეს არის სამწლიანი პროექტი, რომლის ხელმძღვანელია თსუ-ის პროფესორი ჯაბა სამუშია, პროექტში ბატონ ჯაბასა და ჩემს გარდა ახალგაზრდა დოქტორანტებიც მონაწილეობენ. პროექტი გულისხმობს თურქეთის საქართველოს (ართვინის, არდაგანის, არზრუმის ვილაიეთების) ტერიტორიაზე არსებული საფორტიფიკაციო სისტემის სრულ აღწერილობას, როგორც აზომვით სამუშაოებს, ისე ფოტოფიქსაციასა და ლოკალიზაციას.

— თქვენს თაობას ჰქონდა იმისი საშუალება, რომ გასულიყო დასავლეთში. როგორც მეცნიერს, გქონდათ თუ არა ურთიერთობები და საერთო პროექტები დასავლელ კოლეგებთან?

— როგორც ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტი, დაინტერესებული ვარ საბჭოთა პერიოდის კვლევით. სოვეტოლოგია და განსაკუთრებით საბჭოთა საქართველოს ისტორიის კვლევა, ბოლო პერიოდში, შედარებით გამოცოცხლდა. შეიქმნა საბჭოთა კვლევების ლაბორატორია ილიაუნში, რომელიც საინტერესო საქმიანობას აწარმოებს. სამწუხაროდ, თსუ-ში ასეთი ჯგუფი ჯერ არ გვყავს. არა და, საბჭოთა პერიოდის კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან ამაზე დიდი მოთხოვნაა დასავლეთში. ამასთან, ქართული არქივები, თუ ბალტიის ქვეყნების არქივებს არ ჩავთვლით, ის იშვიათი არქივებია, რომლებიც ბოლომდე გახსნილია და თავისუფლად ხელმისაწვდომია ყველა მკვლევრისთვის — გასული საუკუნის 20-30 წლების უშიშროების და პარტიული არქივები მაქვს მხედველობაში, რომლებსაც რუსეთში დღემდე გრიფით საიდუმლო ადევს. ამიტომ კვლევისათვის, პარალელიზმისთვის ჩვენი არქივები (პრეზიდენტის, უახლესი ისტორიის, ცენტრალური საისტორიო არქივი, შსს-ს უშიშროების არქივი) ზღვა მასალას იტევს და შესასწავლია.

აღსანიშნავია, რომ წელს, 28 ივლისს, 100 წელი სრულდება პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან. ეს არის ღონისძიება, რომელსაც მთელს მსოფლიოში აღნიშნავენ. მე უშუალოდ ჩაბმული ვარ ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტის პროექტში, რომელშიც მრავალი ქვეყანა მონაწილეობს. ჩემი მიმართულებაა პირველი მსოფლიო ომის შესახებ საქართველოსთან დაკავშირებული მასალების მომზადება.

— თქვენ საკმაოდ აქტიურად ხართ ჩაბმული ახალი ტიპის სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადებაში. რას გულისხმობს ისტორიის ახლებურად სწავლება?

— 2005-2006 წლებში განათლების სამინისტრომ ბევრი საინტერესო რეფორმა განახორციელა. პირველ რიგში ვგულისხმობ ახალი ტიპის ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტის შემოტანას. მანამდე სტანდარტი გაცილებით ქაოტური იყო, რაც ისტორიის მიმართ ბავშვებში ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იწვევდა: ისტორიაში ისწავლებოდა ერთი და იგივე და ამავე დროს სწავლა იყო ტრაფარეტული, უფრო დაზუთხვას მოითხოვდა, ვიდრე შემოქმედებით მიდგომასა და ანალიტიკას. ისტორია, თავისთავად ისეთი მეცნიერებაა, რომ თუ სწორ მეთოდოლოგიას მოარგებ, შეუძლებელია, ახალგაზრდა არ დაინტერესდეს. ეს იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩავერთეთ სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში. პირველად ეს დაიწყო 2006-2007 წლებში, როდესაც მომზადდა მე-8 კლასის ინტეგრირებული სახელმძღვანელო ისტორიასა და გეოგრაფიაში. სხვათა შორის, დღეს ბევრი კრიტიკულად უდგება ინტეგრირების მეთოდს, თუმცა, ასე ცალსახად შეფასება არასწორად მიმაჩნია. ბევრ ევროპულ ქვეყანაში ინტეგრირების პროცესი წარმატებით განხორციელდა, ჩვენში კი ამის დანერგვა ნაჩქარევად მოხდა. ვერ მოესწრო ავტორებისა და მასწავლებლების შესაბამისი მომზადება, რის გამოც უკმაყოფილება გაჩნდა როგორც სკოლების პედაგოგებში, ისე მოსწავლეებში. განსაკუთრებით რთული სიტუაცია შეიქმნა საბუნებისმეტყველო საგნებში, სადაც ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია იყო ინტეგრირული. დღეს ინტეგრირება უკვე აღარ გამოიყენება და დისციპლინები გამიჯნულია ერთმანეთისგან.

სახელმძღვანელოებზე მუშაობა შემდგომ წლებშიც განვაგრძეთ. სხვადასხვა დროს განათლების სამინისტროს გრიფი მიენიჭა ჩვენ მიერ მომზადებულ 7, 8, 11, 12 კლასების სახელმძღვანელოებს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო მე-12 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც 2008 წელს მოვამზადეთ. უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოზე მუშაობა ქვის კოდვის ტოლფასია: ეს გულისხმობს ძალიან დიდი და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოგროვებას, ამავე დროს, ამ ინფორმაციის მიღება-გადამუშავებისას უნდა იყო ძალიან ფრთხილად, რათა შეცდომა არ მოგვიდეს. ერთი ადამიანი ამას ვერ გააკეთებს, ამას სჭირდება ავტორთა კოლექტივი და მათ შორის ფუნქციების სწორი განაწილება. მე დაკავებული ვიყავი უშუალოდ ტექსტებით და ფაქტობრივი თუ ვიზუალური და ინტერაქტიული მასალის მომზადებით, რაც შეეხება მეთოდურ ნაწილს, ამას აკეთებდა სკოლის მასწავლებელი. სახელმძღვანელოს დახვეწაში დიდი როლი შეასრულეს გამომცემლობების სარედაქციო ჯგუფებმა, განსაკუთრებით გამოვყოფდი გამომცემლობა „დიოგენეს", სადაც ძალიან მაღალპროფესიული ჯგუფი მუშაობდა. საბოლოოდ, შედეგად მივიღეთ საკმაოდ კარგი სახელმძღვანელო. საერთოდ, ვიტყვი, რომ ძალიან დიდი შეცდომა იყო, როდესაც 2013 წელს განათლების სამინისტრომ საკმაოდ უხეში ფორმით ჩამოართვა გამომცემლობებს სახელმძღვანელოების გამოცემის უფლება. თუ ეს მიდგომა არ შეიცვლება და სახელმწიფო პროცესიდან ამოაგდებს გამომცემლობას, რომელიც უმნიშვნელოვანესი რგოლია სახელმძღვანელოების მომზადებისას, ეს დაგვაკარგვინებს ხარისხიან სახელმძღვანელოებს, რაც საბოლოოდ ცუდად აისახება საგანმანათლებლო სისტემაზე.

— თქვენ ასწავლით სტუდენტებს, გიხდებათ ურთიერთობა ახალგაზრდებთან, როგორი კონტინგენტი მოდის და რა ინტერესები და მისწრაფებები აქვთ სტუდენტებს?

— ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დიდია დაინტერესება ისტორიით. თავდაპირველად, როდესაც ფაკულტეტები გაერთიანდა და ერთიანი ჰუმანიტარული ფაკულტეტი ჩამოყალიბდა, სტუდენტებს უჭირდათ არჩევანის გაკეთება, იყო სხვადასხვა პრობლემები... დღეისათვის ამას უკვე საკმაოდ კარგი ორგანიზებული სახე აქვს მიღებული, პროცესი დალაგდა და როდესაც დღეს ისევ საუბარია ფაკულტეტების დაშლაზე, მიმაჩნია, რომ ეს არასწორია. პირველ საფეხურზე სტუდენტი მაინც ჩამოუყალიბებელია, ზუსტად არ აქვს გაკეთებული არჩევანი, ამდენად, დასაწყისში მაინც, საჭიროა ზოგადი ცოდნა შეიძინოს კონკრეტულ დისციპლინებში. რაც შეეხება ჩვენს მიმართულებას და იმას, თუ რატომ ინტერესდებიან ახალგაზრდები ისტორიით, წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში გაჩნდა დასაქმების შესაძლებლობა და სამუშაო ადგილები საჯარო სექტორში, მუზეუმებში, არქივებში. რაც შეეხება სკოლის მასწავლებლობას, ჯერჯერობით ნაკლებად ინტერესდებიან სკოლაში მუშაობით, თუმცა, არიან მაგისტრები, რომლებიც საჭიროდ თვლიან, გარკვეული პერიოდი, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლებში ასწავლონ. ზოგადად კი, ისტორია ისეთი მეცნიერებაა, რომ მას, როგორც წესი, სოციალურად აქტიური და ინტერესიანი ადამიანები ირჩევენ.

— პირადი ცხოვრების შესახებაც მოგვიყევით. როგორია თქვენი ოჯახური ცხოვრება და გატაცებები?

— მეუღლე — გვანცა აბდალაძე ისტორიკოსია, ჩემი თანაკურსელი იყო, დღეს სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია. გვყავს ორი შვილი. ვაჟი — რატი სამხატვრო აკადემიის პირველკურსელია არქიტექტურის მიმართულებით. გოგონა — ია ორი წლისაა და თუ სახლში ვარ, მთელი დრო და ყურადღება მას სჭირდება. სულ ჩემთან თამაში უნდა და, შესაბამისად, სახლში სამეცნიერო მუშაობა გამორიცხულია, ამიტომ ძირითადად უნივერსიტეტსა და ბიბლიოთეკებში ვმუშაობ.

ჩემი ჰობი მხატვრული ლიტერატურაა. ძალიან მიყვარს მოგზაურობა, მოვლილი მაქვს მთელი საქართველო და ხშირად მიმყავს სტუდენტებიც, თუმცა, ბოლო ორი წელია ამ მხრივ ცოტა შევასუსტე აქტივობა.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

INFO ქრონიკა

პროფესორ გერი სიმფსონის ვიზიტი თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მელბურნის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კენეტ ბეილის კათედრის ხელმძღვანელი და ლონდონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სკოლის (LSE) საერთაშორისო სამართლის მოწვეული პროფესორი გერი სიმფსონი ეწვია. სტუმარმა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესურისა და სტუდენტებისთვის, სამთავრობო და არასამთავრობო წრეების წარმომადგენლებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია საერთაშორისო სამართალში. ლექციამ მონაწილეთა დიდი ინტერესი დაიმსახურა, რაც აისახა აქტიურ დისკუსიაში განხილული საკითხების გარშემო.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებულთა დაჯილდოება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება გაიმართა. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის; კერძო სამართლის; საერთაშორისო და კონსტიტუციური სამართლისა და სამართლის ისტორიის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებმა.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თამარ ზარანდიას განცხადებით, „იურიდიული ფაკულტეტი არ ღალატობს ტრადიციებს და ატარებს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებმა, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი სამეცნიერო აქტიურობა განახორციელონ სამართლის სხვადასხვა მიმართულებით. წელს ძალიან საინტერესო მოხსენებები იყო და ძალიან გაგვიჭირდა საუკეთესოს გამოვლენა. სასიამოვნოა, რომ აქტიურობა იყო მაღალი. სასიხარულოა, რომ დაჯილდოების პროცესში მონაწილეობა მიიღეს კერძო სექტორის წარმომადგენლებმაც. ვფიქრობ, ეს ტრადიცია უნივერსიტეტში გაგრძელდება და მსგავსი სამეცნიერო აქტივობები იქნება დაფასებული“.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ერთ-ერთ გამარჯვებულს (კერძო სამართლის მიმართულებით) გიორგი მელაძეს იურიდიული ფირმა „გაბუნია და პარტნიორების” ერთ-ერთმა დამფუძნებელმა დიმიტრი გაბუნიამ ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადასცა.

პროექტის „TSU School of Entrepreneurship“ ფინალური ღონისძიება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესტონურ-ქართული პროექტის „TSU School of Entrepreneurship“-ის გამარჯვებულები დააჯილდოვეს. კონკურსში, რომლის მიზანიც სტუდენტებში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება იყო, სამი გამარჯვებული გუნდი საგანგებო ჟიურიმ გამოავლინა.

პროექტის ფინალში 12 გუნდიდან ნახევარფინალში გასული 6 გუნდი მონაწილეობდა. მათ მიმდინარე წლის აპრილში ერთკვირიანი სტაჟირება გაიარეს ესტონეთის სხვადასხვა კომპანიაში და ბიზნესის განვითარების თეორიული ცოდნა ესტონური გამოცდილების მაგალითზე გაიღრმავეს.

ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი ადგილის მფლობელი C-Group გახდა, მეორე ადგილზე ჯგუფი MyCake გავიდა, ხოლო მესამე ადგილი ჯგუფმა Part-time.ge-მა დაიკავა. გამარჯვებულ გუნდებს ფულადი ჯილდო გადაეცათ. დამსწრე საზოგადოების ფავორიტ გუნდად C-Group დასახელდა.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა და ესტონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პრიიტ ტურკი ესწრებოდნენ.

პროექტი „TSU School of Entrepreneurship“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013 წლის დეკემბრიდან, ესტონურ კომპანია „BDA Consulting“-თან თანამშრომლობით ხორციელდება. პროექტის მიზანია ტრენინგ-პროგრამების საშუალებით, მცირე ბიზნესის გასავითარებლად თსუ-ის სტუდენტების მომზადება.

საერთაშორისო კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“ გაიხსნა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი, საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში რენო სალენსი, საერთაშორისო სტრუქტურების წარმომადგენლები, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები დაესწრნენ. ღონისძიების თანაორგანიზატორები არიან თსუ-ის პროფესორი ნანა გუნცაძე და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ ზურაბიშვილი.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „საქართველოს ევროპული ორიენტაცია ოდითგანვე განსაზღვრულია, ეს არის ქართველი ხალხის შინაგანი მისწრაფება. მალე საქართველო მოაწერს ხელს ასოცირების შეთანხმებას და ამ ფონზე დღეს თსუ-ში ტარდება დიდი საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანია კიდევ ერთხელ იქნას გაანალიზებული, თუ როგორი უნდა იყოს ევროპული სახელმწიფო საქართველო: რა ღირებულებებია, რა ტრანსფორმაციები უნდა განიცადოს ეკონომიკამ, სახელმწიფოს მშენებლობამ, უსაფრთხოების საკითხებმა, კულტურულმა სფერომ, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდეს როგორც განვითარებული ევროპული მოდელის მქონე ქვეყანა. ჩვენი უნივერასიტეტის პროფესურის და სტუდენტების ჩართულობა არის იმის საწინდარი, რომ უცხოელ პარტნიორებთან ერთად ეს კონფერენცია იქნება წარმატებული“.

„კონფერენციის თემაა ევროპული ღირებულებები. უნივერსიტეტში ამ საკითხზე კონფერენციების ჩატარება უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა. ეს ღონისძიება გვიჩვენებს თუ რა ინტენსივობით არიან ჩართულები ქართველი პროფესორები ამ საკითხებში და ვფიქრობ კარგი იდეაა“, — აღნიშნა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელმა ფილიპ დიმიტროვმა.

საქართველოში საფრანგეთის ელჩის რენო სალენსის თქმით, „ბოლო თვეების მანძილზე გარკვეული დებატები მიმდინარეობს საქართველოში ეროვნულ იდენტობასა და ევროპულ ღირებულებებზე. ჩემი აზრით, ამ კონფერენციის მიზანია შეისწავლოს ეს საკითხი და აჩვენოს, რომ არსებობს შესაბამისობა ქართულ იდენტობასა და ევროპულ ღირებულებებს შორის. სწორედ ამიტომ, კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ პროფესორები ევროპიდან და საქართველოდან, ისინი გაცვლიან იდეებს, იმსჯელებენ ამ საკითხზე და ვფიქრობ, ეს სასარგებლო იქნება საქართველოსთვის“.

„კონფერენციის მიზანი პირველ რიგში არის ის, რომ საქართველოში რაც შეიძლება მეტად გავრცელდეს ევროპული ღირებულებები. როგორც ჩანს, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არის ამის აუცილებლობა და ამიტომ გადავწყვიტეთ მოვაწყოთ ასეთი ტიპის კონფერენცია, სადაც ასევე გამოჩნდება მეცნიერული კვლევებიც ამ სფეროში. ჩვენ უნდა შევეცადოთ საქართველოს იდენტობის შენარჩუნებით დავნერგოთ ევროპული ღირებულებები. ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ ინტერდისციპლინარული კონფერენციის ჩატარება თსუ-ში“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა ნანა გუნცაძემ.

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტმა ოთარ ზურაბიშვილმა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია გადასცა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს ნათია ფაილოძეს.

ინტერდისციპლინარული კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“ მიზნად ისახავდა იმ უნივერსალური ფასეულობების გავრცელებისთვის ხელშეწყობას, რომელთა მატარებელიცაა ევროპა და, ასევე, ამ ღირებულებების განხილვას ეროვნული იდენტობის კონტექსტში. კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს, ევროკავშირის, ასოციაცია Georgia Proeuropa-ს, საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს ორგანიზებით გაიმართა.

ტრინაციონალური საზაფხულო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 9 ივნისს ტრინაციონალური საზაფხულო უნივერსიტეტი გაიხსნა. თსუ-ს, ზაარლანდისა და ნანტის უნივერსიტეტების ერთობლივი საზაფხულო უნივერსიტეტის („ჩვენი ქალაქები მომავალში“) მესამე ნაწილში 30 სტუდენტი (ყოველი მონაწილე ქვეყნიდან 10 სტუდენტი) ჩაერთვება. ტრინაციონალური საზაფხულო უნივერსიტეტის პირველი და მეორე ნაწილი ზაარბრიუკენსა და ნანტში ჩატარდა, ხოლო მესამე ნაწილი კი თბილისში იმართება.

ტრინაციონალური საზაფხულო სკოლის მიზანია: დარგობრივი ცოდნის გაზიარება სხვადასხვა დისციპლინებში აკადემიური და პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა, მულტინაციონალური სამეცნიერო დიალოგის ხელშეწყობა, საზოგადოებისათვის რელევანტურ თემებზე დისკუსიის წამოწყება, სოციალურ, ლინგვისტურ და ინტერკულტურულ კომპეტენციათა გაღრმავება.

პროექტი მიზნად ისახავს საზაფხულო უნივერსიტეტების უკვე არსებული ქსელის განვითარებას, სამ ქალაქს შორის სამეცნიერო ქსელის ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტი მონაწილეებს სთავაზობს ფართო პროგრამას

— ლექციების, დისკუსიების, ვორქშოპების, ექსკურსიებისა და ლინგვისტური ანიმაციების სახით. მონაწილეთა პროექტის მომოხილვა გამოქვეყნდება საფრანგეთის ცენტრის წლიურ კატალოგში, ორგანიზატორთა და პარტნიორ ინსტიტუციათა ვებ-გვერდებზე.

პროექტის ორგანიზატორები არიან: თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, ზაარლანდის უნივერსიტეტის საფრანგეთის ინსტიტუტი, ნანტის ფრანგულ-გერმანული კულტურის ცენტრი, გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის საინფორმაციო ცენტრი.

ოფიციალური გვერდი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

№79/01-01 05.06.2014

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი და მე-2, პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 2013 წლის 18 ნოემბრის 126 დადგენილებით) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე წესის მე-3 მუხლის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 22 მაისის №06/04 ერთობლივი ბრძანების „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 28 მარტის №02/04 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თეიმურაზ ბერიძის 2014 წლის 2 ივნისის №16951/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

4. კონკურსი გამოცხადდეს 2014 წლის 5 ივნისს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 7 ივლისიდან 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2014 წლის 18 აგვისტოსი.

5. კონკურსი გამოცხადდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

ეკონომიკის პრინციპების კათედრა
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა

საერთაშორისო ეკონომიკის ქვემიმართულება
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის ქვემიმართულება
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

ეკონომეტრიკის კათედრა
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

6. პროფესორის და ასოცირებულ პროფესორების თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ)შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი.

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება 2014 წლის 7 ივლისიდან 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით. 10^{00}-დან 18^{00} საათამდე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარია, ოთახი №310.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

№80/01-01 05.06.2014

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 2013 წლის 18 ნოემბრის 126 დადგენილებით) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე წესის მე-3 მუხლის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 22 მაისის №06/04 ერთობლივი ბრძანების „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 28 მარტის №02/04 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თეიმურაზ ბერიძის 2014 წლის 2 ივნისის №16951/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2014 წლის 5 ივნისს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 7 ივლისიდან 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2014 წლის 18 აგვისტოსი.

4. კონკურსი გამოცხადდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა
ასისტენტ-პროფესორი — 1 საშტატო ერთეული

მარკეტინგის კათედრა
ასისტენტ-პროფესორი — 1 საშტატო ერთეული

5. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამოტივაციო წერილი;

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება 2014 წლის 7 ივლისიდან 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით. 10^{00}-დან 18^{00} საათამდე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარია, ოთახი №310.

7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

№90/01-01 16.06.2014

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 2013 წლის 18 ნოემბრის 126 დადგენილებით) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე წესის მე-3 მუხლის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 12 ივნისის №08/04 ერთობლივი ბრძანების და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის თამარ მახარაძის 2014 წლის 11 ივნისის № 18215/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2014 წლის 16 ივნისს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 17 ივლისიდან 2014 წლის პირველი აგვისტოს ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2014 წლის 18 აგვისტოსი;

4. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფაკულტეტის პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

5.პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2014 წლის 17 ივლისიდან 2014 წლის პირველი აგვისტოს ჩათვლით, 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8 (VI კორპუსი) ოთახი №202;

ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

№91/01-01 16.06.2014

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 2013 წლის 18 ნოემბრის 126 დადგენილებით) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე წესის მე-3 მუხლის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 12 ივნისის №08/04 ერთობლივი ბრძანების და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის თამარ მახარაძის 2014 წლის 11 ივნისის №18215/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2014 წლის 16 ივნისს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 17 ივლისიდან 2014 წლის პირველი აგვისტოს ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2014 წლის 18 აგვისტოსი;

4. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება
ასისტენტ-პროფესორი — 1 საშტატო ერთეული.

5. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამოტივაციო წერილი;

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება 2014 წლის 7 ივლისიდან 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით. 10^{00}-დან 18^{00} საათამდე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8 (VI კორპუსი) ოთახი №202;

7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი

რექტორის მრჩევლის „გრძელი“ გზა მოკლე დროში

შურთხია ბერეშვილი

26 წლის სტუდენტი რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველია, ერთი შეხედვით, გასაკვირია, მაგრამ ალბათ შემთხვევით არაფერი ხდება. ვახტანგ ჭარაიას ბიოგრაფია უკვე იმდენად მდიდარი და მრავლისმთქმელია, რომ მისი გაცნობის შემდეგ აღარ გიკვირს, რომ იგი დღეს თავისი ასაკისთვის „შეუფერებელ“ თანამდებობაზე მუშაობს. თავის წარმატებას ოჯახის დამსახურებად თვლის და მადლობელია რექტორის, რომ „შეამჩნია“ და მასთან მუშაობა შესთავაზა.

„გრძელი“ გზა მოკლე დროში გაიარა. ეგრეთწოდებულ CV -ში უკვე შერჩევით წერს ჯილდოებზე, სერტიფიკატებზე და სამეცნიერო ნაშრომებზე ინფორმაციას. თუმცა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობას მაინც განსაკუთრებულ პატივად თვლის და ამბობს, რომ აქ თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საუკეთესო ასპარეზი აქვს.

„სფერო, რომელიც ავირჩიე, სკოლის ასაკიდან მაინტერესებდა. დაწყებითი განათლება მოსკოვში მივიღე, მაგრამ 2004 წელს ოჯახთან ერთად საქართველოში დავბრუნდი და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგისტრატურა ბალტიის საერთაშორისო აკადემიაში გავიარე. 2011 წლიდან დღემდე კი ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტი ვარ. რთული სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ყოველ საღამოს ჩემს დისერტაციაზე ვმუშაობ, სხვაგვარად არ გამოდის“, — ამბობს ვახტანგ ჭარაია.

პროფესიის სრულფასოვნად დაუფლების მიზნით 2012–2013 წლებში მან სტაჟირება გაიარა სანკტ-პეტერბურგის ევროპულ უნივერსიტეტში (რუსეთი), პასსაუს უნივერსიტეტში (გერმანია), ინდოეთის სახელმწიფო მმართველობისა და ფინანსების ინსტიტუტში და ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი). 2014 წლის ზაფხულს კი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში (აშშ) სტაჟირებას დაუთმობს.

ახალგაზრდა ეკონომისტს მრავალი ჯილდო და სერტიფიკატი აქვს ამ პერიოდში მოპოვებული, თავად ყველაზე მნიშვნელოვან ჯილდოებად რამდენიმეს გამოყოფს, მათ შორის ჯავახიშვილის მედალს: „რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული დოქტორანტების სიაში მოვხვდი. დაახლოებით 3000 დოქტორანტიდან საქართველოში სულ 135 ადამიანმა მოვიპოვეთ ეს დაფინანსება, რომელიც სწავლისა და კვლევის დაფინანსებას გულისხმობს 21 ათასი ლარის ფარგლებში. მე 19642 ლარის ოდენობის დაფინანსება მოვიპოვე, ამ საპატიო სიაში მოხვედრისთვის რექტორმა ყველა გამარჯვებულს გადმოგცა ეს მედალი, რომელიც, რა თქმა უნდა, ძალიან მეამაყება“, — ამბობს ვახტანგ ჭარაია.

იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში თუ სიმპოზიუმებში, საიდიანაც ყოველთვის ხელდამშვენებული ბრუნდება. გარდა ამისა, მას ხშირად იწვევენ სალექციო კურსების ჩასატარებლად სხვადასხვა სასწავლებლებში. მნიშვნელოვანი იყო სალექციო კურსი პეტერბურგის ევროპულ უნივერსიტეტში, სადაც ლექციათა კურსი წაიკითხა თემაზე: „კორუფციასთან ბრძოლის ქართული რეალობა“, პასსაუს უნივერსიტეტში კი — ლექციათა კურსი თემაზე: „ბიზნესი საქართველოში, თეორია და პრაქტიკა“.

ვახტანგ ჭარაია ასევე სისტემატურად აქვეყნებს ქართულ და უცხოურ სამეცნიერო და პუბლიცისტურ ჟურნალებში სამეცნიერო სტატიებს, რის გამოც უკვე კარგად იცნობენ თავისი დარგის უცხოელი და ქართველი კოლეგები.

როგორც თავად ამბობს, მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ პროექტებში მონაწილეობა, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობას ეხება. „ჩემი თანამონაწილეობით დაიწერა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიც არის: „აფხაზეთის რკინიგზის ეკონომიკური გაანგარიშება“, „რეკომენდაციები საქართველოს ევროინტეგრაციისათვის“ და მრავალი სხვა.

„ჩემთვის აფხაზეთი დიდი ტკივილია, მე დევნილი ვარ. მოსკოვში ცხოვრების დროს მშობლები სულ მიყვებოდნენ ჩვენს პატარა ქალაქზე და იქ გამეფებულ ატმოსფეროზე, სადაც ადრე ბედნიერად ცხოვრობდნენ ქართველებიც და აფხაზებიც. ჩემი ბებია და ბაბუა ახლაც იქ, ჭუბურხინჯში არიან, ბავშვობაში ყოველ ზაფხულს ჩამოვდიოდი მოსკოვიდან მათ სანახავად, მაგრამ უკვე მრავალი წელია, რაც აფხაზეთს ვეღარ ვსტუმრობ და გული ძალიან მწყდება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დღეს სიამოვნებით ვთანამშრომლობ ჩვენს აფხაზ კოლეგებთან, ერთად ვახორციელებთ სხვადასხვა კვლევებს, რომლებიც, კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში, ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნებოდა. იმედია, დადგება დრო, როდესაც ყველა მიხვდება, რომ კონფლიქტი უნდა მოგვარდეს და სივრცე ეკონომიკურ ინტეგრაციას დაეთმოს. მანამდე კი, სამწუხაროდ, ვერც ჩვენ ჩავდივართ აფხაზეთში და ვერც ისინი ჩამოდიან საქართველოში, ამიტომ ნეიტრალურ ქვეყნებში ვიკრიბებით ხოლმე“, — აღნიშნავს ვახტანგ ჭარაია.

ვახტანგ ჭარაია ექსპერტ-ანალიტიკოსის რანგში „კავკასიის სოციალურ და ეკონომიკურ კვლევით ინსტიტუტშიც“ მოღვაწეობს, ასევე 2012 წლის დეკემბრიდან დღემდე ბრიტანულ საერთაშორისო კვლევით ორგანიზაცია „International Alert“-ის კონსულტანტია ეკონომიკის დარგში, აგრეთვე რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოს წევრია, 2014 წლის თებერვლიდან კი მოწვეული სპეციალისტის რანგში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ატარებს პრაქტიკულ-სასემინარო კურსებს მაკროეკონომიკაში. როგორც თვითონ ამბობს, მეცნიერებაში „თავით არის გადაშვებული“ და ფართო კონტაქტებსა თუ ურთიერთობებს უნივერსიტეტის სასარგებლოდაც იყენებს.

„ბატონ ლადოსთან მუშაობა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. ჩემი ძირითადი მოვალეობა საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაა, რადგანაც ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა და მას უნივერსიტეტის სასარგებლოდ ვიყენებ. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ჩვენს ესტონელ მეგობრებთან ერთად ესტონეთის საგარეო სამინისტროში შევიტანეთ განაცხადი, რის საფუძველზეც მომდევნო სემესტრში 5 სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემა ტარტუს უნივერსიტეტში გააგრძელოს სწავლა. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ტარტუს, აზერბაიჯანის და თსუ-ის ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციის გამართვას, რომელიც თბილისში დაიწყება და ბაქოში დასრულდება, აგრეთვე სექტემბერ-ოქტომბერში ჩემი ძალისხმევით თსუ-ში 5 სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება. თუმცა ეს ყველაფერი არ არის, ყოველთვის მზად ვარ უნივერსიტეტისთვის და რექტორისთვის

საჭირო ადგილას ვიყო და ნებისმიერი მიმდინარე პრობლემის გადაჭრაში მივიღო მონაწილეობა“.

ახალგაზრდა რექტორის მრჩეველი აღნიშნავს, რომ მისი გრაფიკი რექტორის გრაფიკზეა „მიბმული“, ამიტომ კითხვა — თავისუფალ დროს რას აკეთებთ? — ზედმეტად ეჩვენება. „ჩემთვის დიდი პატივია, რომ ბატონმა ლადო პაპავამ მასთან მუშაობა შემომთავაზა. მანამდე ჩვენ ერთმანეთს სხვადასხვა ღონისძიებებზე ვხვდებოდით, ვსაუბრობდით, ვიზიარებდით ერთმანეთის პოზიციებს და, ალბათ, სწორედ მაშინ დაინახა ბატონმა ლადომ ჩემში გარკვეული პოტენციალი, რითაც ძალიან ვამაყობ. არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ იმას, რასაც ბატონი ლადოს გვერდით მუშაობისას ვსწავლობ, ვერც ერთ წიგნში ვერ ამოვიკითხავ. ძალიან ყურადღებიანი ადამიანია და ყველანაირად ცდილობს პროფესიონალურ ზრდაში შემიწყოს ხელი. ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში ბატონმა ლადომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალგაზრდულ საბჭოში წარმადგინა, სადაც სხვადასხვა დარგის თითო-თითო, 35 წლამდე ახალგაზრდა მეცნიერია. ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით, 35 წლამდე მეცნიერებს შორის, ეკონომიკის დარგის წარმომადგენლად სწორედ მე — 26 წლის ახალგაზრდა ამირჩიეს. სიტყვებიც არ მყოფნის მადლიერების გამოსახატავად. მეც ვცდილობ, გავამართლო მისი ნდობა და იმედები“...

გადატვირთული სამუშაოს შემდეგ ოჯახურ გარემოში ისვენებს. როგორც ყველა მისი ასაკის ადამიანს, განსაკუთრებით უყვარს ფეხბურთი და ყველაზე მეტად ქართველი სპორტსმენების გამარჯვება ახარებს. კითხვა უყვარს, თუმცა, გამორჩეულად საყვარელი მწერალი არ ჰყავს.

ბევრს მოგზაურობს და მის წლევანდელ გეგმაში, არც მეტი, არც ნაკლები, ყველა კონტინენტის მონახულებაა!

თუმცა მისთვის ყველაზე საინტერესო საქმიანობა მაინც ეკონომიკური სიახლეების გაცნობა და ახალგაზრდა სტუდენტებისთვის ხელის შეწყობაა. ყველაფერი, რასაც აკეთებს, დიდ სამეცნიერო გეგმებს უკავშირდება, რომლის პირველი დიდი ნაბიჯი წელს სადოქტორო ნაშრომის წარმატებით დაცვაა.

როგორ შვა წახალისებამ ახალი სიკეთე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები. ლოპოტა

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმზე ეკონომიკის ფაკულტეტიდან გამარჯვებულმა დოქტორანტებმა — ვახტანგ ჭარაიამ, გიორგი გაფრინდაშვილმა და ირაკლი დოღონაძემ საუკეთესო სამეცნიერო მოხსენებებისთვის მიღებული 1500 ლარიანი პრემია გასვლითი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას მოახმარეს. უნივერსიტეტისგან წახალისებულებმა საკუთარი სახსრებით ახლა უკვე სხვების წახალისებაზე იზრუნეს და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს ლოპოტას ტბაზე დაჯილდოებისთვის შესანიშნავი გარემო შეუქმნეს.

„საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა“ — ეს გახლდათ 14 ივნისს ლოპოტას საკონფერენციო დარბაზში გამართული ღონისძიების მთავარი თემა, რომელზეც უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ მოხსენება წაიკითხა. ლადო პაპავამ, როგორც ეკონომისტმა, სტუდენტებს ეკონომიკის სფეროში აქტუალურ საკვლევ პრობლემატიკაზე მიანიშნა და ღიად ისაუბრა საქართველოს, როგორც მომხმარებლური ეკონომიკის მქონე ქვეყნის სამომავლო პერსპექტივაზე.

გვეშველება რამე? — ამ კითხვას ყველაზე ხშირად ეკონომისტებს უსვამენ და, ჯერჯერობით, დამაიმედებელ პროგნოზს ცოტა თუ აკეთებს. ექსპერტების შეფასებებისგან მეტად განსხვავდება ის სამყარო, რომელშიც უნივერსიტეტის სტუდენტები კრიზისის გადაჭრის გზებს ეძებენ. სწავლისა და თამაშის შეხამებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა მაკეტებიც კი დაამზადეს, რათა სამ განზომილებაში გამოევლინათ თავიანთი მაკროეკონომიკური ხედვა. სწორედ ეს მაკეტები წარმოადგინეს მათ კონფერენციაზე, რაც გარემოს შემოქმედებით ელფერსაც ანიჭებდა.

უნივერსიტეტის რექტორმა ღონისძიების ბოლოს სერტიფიკატები გადასცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ სტუდენტებს, რომელთაც 74-ე საუნივერსიტეტო კონფერენციაში, როგორც საუკეთესო მოხსენებების ავტორებმა, გაიმარჯვეს. ლოპოტაზე შეხვედრა ტბაში ანკესის სროლით დამთავრდა და სტუდენტები ნაჩუქარ ერთ მშვენიერ დღესაც დაემშვიდობნენ.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62